აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№47 (25.175) 6 დეკემბერი, 2024 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 13-18, მთიან რაიონებში - 8-13, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 14 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 770 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

„ჩვენი არჩევანი, რომელიც უკავშირდება ევროკავშირის სრულფასოვან წევრობას, არის ძალაში“

ჩვენი ქვეყნის ევროპული მომავალი, ნამდვილი ევროპული სახელმწიფოს მშენებლობა არის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, რომელსაც გააგრძელებს ჩვენი ხელისუფლება, - ამის შესახებ ჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუვაძემ განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, თუკი რაიმე ხელშესახები შედეგი არსებობს ევროინტეგრაციის გზაზე, მათ შორის ევროკავშირთან დაახლოების კუთხით, არის „ქართული ოცნების“ ხელისუფლებასთან დაკავშირებული.

- შანტაჟი და შეთქმულება ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩავარდა.

მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს სახელმწიფო ინსტიტუტებს, სამართალდამცავებს, რომლებიც არნახული ზეწოლის მიუხედავად მთელი პროფესიონალიზმით, გმირულად ახერხებენ ჩვენს ქვეყანაში წესრიგის შენარჩუნებას.

თუკი რაიმე ხელშესახები შედეგი არსებობს ევროინტეგრაციის გზაზე, მათ შორის ევროკავშირთან დაახლოების კუთხით, არის „ქართული ოცნების“ ხელისუფლებასთან დაკავშირებული.

ჩვენი არჩევანი, რომელიც უკავშირდება ევროკავშირის სრულფასოვან წევრობას, არის ძალაში. ამ მიმართულებით ვაგრძელებთ რეფორმების გატარებას, თუმცა კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ არავის მივცემთ უფლებას, მოლაპარაკებები გამოყენებულ იქნას ქვეყნის და სახელმწიფო ინსტიტუტების დაშანტაჟების მიზნით.

ჩვენი ქვეყნის ევროპული მომავალი, ნამდვილი ევროპული სახელმწიფოს მშენებლობა არის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, რომელსაც გააგრძელებს ჩვენი ხელისუფლება“, - განაცხადა თორნიკე რიუვაძემ.

უწყვეტი პროტესტის 7 დღე

ნანა აბულაძე 577 20 35 90

მეშვიდე დღეა, თბილისის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე პარლამენტის შენობის წინ, ასევე, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში საპროტესტო აქციები იმართება. 28 ნოემბერს, პრემიერ-მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ, რომ ქვეყანა 2028 წლამდე არ დააყენებს ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების საკითხს, საზოგადოების ნაწილის მწვავე პროტესტი მოჰყვა. ისინი ხელახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას, ასევე, აქციების დროს დაკავებული ადამიანების გათავისუფლებას მოითხოვენ

აქციები ყოველდღე იმართება ბათუმშიც. 4 დეკემბერს „ევროპის მოედანზე“ შეკრებილებმა მსვლელობით და შეძახილებით „გამოდი“, „ნუ იქნები ჩუმად, ნუ დაუშვებ რუსეთის ბოგინს საქართველოში, „საქართველო არასოდეს იქნება რუსეთი“ , „ჩვენ არ დავთმობთ ევროპულ მომავალს“ - რამდენიმე ქუჩა მოიარეს, შემდეგ კი საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაბრუნდნენ. ისინი აცხადებენ, რომ მომიტინგეების დაკავება, მათზე განხორციელებული ძალადობა, ეს „ქართული ოცნების“ მხრიდან არის გზა მეტი რადიკალიზაციისკენ, პოლარიზაციისკენ, რაც მათივე თქმით, უფრო გააღრმავებს კრიზისს და მეტი რეაქცია მოჰყვება საზოგადოებისგანაც.

- ხელისუფლების ქმედებები გასცდა ყოველგვარ ზღვარს, ისინი გადავიდნენ წითელ ხაზებს, რისი მოთმენაც აღარ შეიძლება. მათმა ქმედებებმა უფრო გაგვაბრაზა, კიდევ უფრო მეტნი ვიქნებით ხვალ და ზეგ, მანამ, სანამ არ მივაღწევთ სასურველ შედეგს და არ დაკმაყოფილდება ჩვენი მოთხოვნები. ხელისუფლებამ თავზე გადაგვახია კონსტიტუცია და ყველა ჩვენგანის ვალია, სახელმწიფო დავაბრუნოთ კონსტიტუციის ფარგლებში, - გვითხრა აქციის მონაწილე ზურა ბარამიძემ.

მოქალაქეები, რომლებსაც აქციაზე გავეს საუბრეთ, აცხადებდნენ, რომ უკან არ დაიხევენ, ვერანაირი დაჭერები, ცემა და მუქარა ვერ გააჩერებს მათ.

- ბრძოლა იქნება მანამ, სანამ არ აღდგება ამ ქვეყანაში კონსტიტუციური წესრიგი. უზენაესი კანონი არის კონსტიტუცია, რომლის ერთგულება ყველას ვალდებულებაა. „ქართულმა ოცნებამ“ დაარღვია კონსტიტუციის 78-ე მუხლი, რომელშიც ჩვენი ქვეყნის ისტორიული არჩევანია გამოხატული. ამას არავის ვაპატიებთ, - ამბობს ლელა თავდგირიძე.

გაზეთ „აჭარასთან“ თავისი პოზიცია გააჟღერა ბათუმელმა სტუდენტმა ონისე ჯოყილაძემ. მისი თქმით, ზღვისპირა ქალაქში ზღვა ხალხია გამოსული იმისთვის, რომ ქვეყანას ევროპული გეზი დაუბრუნოს და არავის მისცეს უფლება, დაკარგოს ის მთავარი მონაპოვარი, რომელსაც დამოუკიდებლობა ჰქვია.

იხ. გვ-2 გვ.

«ჩვენი შვილები არ უნდა შეეწიროს მსოფლიო გლობალური ბოროტების ამბიციურ გეგმებს!» 3

«ეს ოპოზიცია კი არა, ხალხი დაუპირისპირდა ხელისუფლებას და სპონტანურად, სტიქიურად გადმოედინა ქუჩაში» 4

«მთელი ცხოვრება კითხვებია მოაზროვნე ადამიანისთვის» 8

«პირველი ავტოგრაფი» საზეიმოდ დაიხურა 9

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

საკონსტიტუციო სასამართლომ პრეზიდენტის და 30 დეპუტატის კონსტიტუციური სარჩელები არსებითად განსახილველად არ მიიღო

საკონსტიტუციო სასამართლომ 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ პრეზიდენტის და 30 დეპუტატის კონსტიტუციური სარჩელები არსებითად განსახილველად არ მიიღო. განჩინება, რომელიც 3 დეკემბერს სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა, საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება

„არ იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად №1848 და №1849 კონსტიტუციური სარჩელები („საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ და საქართველოს პარლამენტის წევრების (თამარ კორძაია, ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ბოტკოველი და სხვები (სულ 30 წევრი)) კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ“). განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება“, - აღნიშნულია განჩინებაში.

განჩინებას თან ერთვის მოსამართლე გიორგი კვერენჩხილაძის განსხვავებული აზრი სარჩელების არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის ხელმისაწვდომობას შეეხება. ასევე, განჩინებას თან ერთვის მოსამართლე თეიმურაზ ტუღუშის განსხვავებული აზრი სარჩელების არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც კენჭისყრის ფარულობასა და საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის ხელმისაწვდომობას ეხება.

ბათუმში ინკლუზიური სწავლების ცენტრის რეაბილიტაციის სამუშაოები დასრულდა

ბათუმის №26 საჯარო სკოლაში ინკლუზიური სწავლების ცენტრის რეაბილიტაციის სამუშაოები დასრულდა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მაია ხაჯიშვილთან და ბათუმის მერ არჩილ ჩიქოვანთან ერთად, რეაბილიტირებული სკოლა დაათვალიერა.

რეაბილიტაციის ფარგლებში, განხორციელდა ინკლუზიური სწავლების ცენტრის, ასევე, შენობის სახურავისა და ფასადის სრული რეაბილიტაცია. სამუშაოების მეორე ეტაპზე დაგეგმილია არსებული ავეჯის განახლება და სკოლის აღჭურვა დამატებითი ინვენტარით.

აჭარაში, ბოლო წლების განმავლობაში, აშენდა 35 საჯარო სკოლა, სასწავლო კორპუსი და სპორტული დარბაზი, ხოლო რეაბილიტაცია ჩაუტარდა 130 საჯარო სკოლას. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს 5 საჯარო სკოლის მშენებლობა.

უწყვეტი პროტესტის 7 დღე

პირველი გვერდიდან

- ხედავთ, რამდენი ხალხია გამოსული ქუჩებში, ბათუმს ასეთი მასშტაბური პროტესტი არ ახსოვს. ეს იმის მანიშნებელია, რომ ეს ხალხი აუცილებლად გაიმარჯვებს. მზად არის ცვლილებებისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, რუსმა ბიძინა ივანიშვილმა ქართველ ხალხს არჩევანი მოპარა, ევროპული მომავალი წაართვა, მიჭირს ამის თქმა, მაგრამ კონსტიტუცია თავზე გადაგვახია. რაც საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლში არის ჩაწერილი, დაივიწყა და გადაუხვია კურსს, 2028 წლამდე გააჩერა ევროინტეგრაცია. ამას არავინ შეეგუება, რადგან ქართველი ხალხის საუკუნო არჩევანი ევროპა, ევროკავშირში გაწევრიანებაა. გამოსავალი არის მხოლოდ მასშტაბური და დაუღალავი პროტესტი. დღეს ჩვენ მთავარი ბრძოლა გვაქვს ქუჩაში და მოვუწოდებ ყველა ჩვენს მეგობარს, ახლობელს, შემოუერთდეს ამ ბრძოლას. დეკემბერია, ცივა, მაგრამ დამიჯერეთ, რუსეთში უფრო ცივა. ასე რომ, გამოდით და დაიცავით ჩვენი ევროპული მომავალი. ჩვენი მთავარი მოთხოვნაა, ჩატარდეს ახალი არჩევნები იმ ცესკოს, უსკოს გარეშე, რომელიც ახლა გვყავს. მეორე მოთხოვნაა დაკავებულების გათავისუფლება. 300-ზე მეტი ადამიანია დაკავებული და თითქმის ყველა მათგანი ნაცემია, რუსული რეჟიმი მათ სასტიკად უსწორდება. ამ ხელისუფლებას, ამ რეჟიმს, რუსეთს არაერთხელ ვუთხარით უარი და კიდევ ერთხელ მკაფიოდ ვაცხადებთ, რომ არ დავიშლებით მანამ, სანამ არ მივაღწევთ გამარჯვებას, - გვითხრა ონისე ჯოყილაძემ.

საქართველოში მიმდინარე მოვლენები გაზეთ „აჭარასთან“ პოლიტოლოგმა კობა ჯუმუშაძემაც შეაფასა. მისი განცხადებით, მოვლენები, ამ ეტაპზე, კულმინაციის ზღვარს გასცდა და ის არ დაწყებულა 28 ნოემბერს. დაძაბულობა 2022 წლის 24 თებერვლიდან, უკრაინაში ომის დაწყებიდან დაიწყო, როდესაც არა მხოლოდ ქართული ხელისუფლება, და არამედ ბევრი გეოპოლიტიკურ კონტექსტში მოყოლილი მთავრობა დადგა ფაქტის წინაშე, აერჩია, თუ საით იქნებოდა ის - ლიბერალური დემოკრატიის, ანუ ცივილური დასავლური სამყაროს მხარეს, თუ მოექცეოდა რუსული გავლენების ქვეშ.

- საქართველოს ხელისუფლებამ ამ მოცემულობაში არ აირჩია დასავლური მიმართულება. ჯერ, საერთოდ გაურკვეველი განცხადებები ვიხილეთ, შემდგომ კი, როგორც აღმოჩნდა, უფრო გადაიხარა მოსკოვის ორბიტისკენ. თითქმის სამი წლის განმავლობაში ეს მოცემულობა კიდევ უფრო გამძაფრდა, გაღრმავდა და საბოლოოდ უკვე არჩევნებამდე, წინასაარჩევნო პერიოდში მიაღწია ერთგვარ პიკს. ახლა პიკის ეტაპიც გავიარეთ და ვიმყოფებით ღრმა პოლიტიკურ კრიზისში, განსაკუთრებით 28 ნოემბრიდან მოყოლებული. 1989 წლის შემდეგ, ჩვენ ასეთი მწვავე პროტესტის მომსწრენი არ ვყოფილვართ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გამოიარა ჩვენმა ქვეყანამ. შესაბამისად, რთული სათქმელია, რამდენად ეყოფა ხელისუფლებას გონიერება საიმისოდ, რომ კიდევ ერთხელ დაფიქრდეს მოცემულ ვითარებაზე და მედიაციის საშუალებით, თუნდაც ეს იყოს პრეზიდენტი, ოპოზიციური პარტიები, დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან და განიხილოს ვადამდელი არჩევნების საკითხი. ეს არის ერთადერთი გამოსავალი, რითაც ამ ხელისუფლებას შეუძლია შეინარჩუნოს, გარკვეულწილად, პოლიტიკურ ასპარეზზე აქტორის როლი. არ ვამბობ, რომ ის კიდევ ერთხელ არჩეული იქნება, იმიტომ რომ, სამართლიან, მიუკერძოებელ არჩევნებში ეს პოლიტიკური აქტორი, რომელსაც ჰქვია „ქართული ოცნება“ ვერასოდეს გაიმარჯვებს. ეს არის ძირითადი მონახაზი, რომელიც შემიძლია გითხრათ. ზოგადად, დღეს პროგნოზების გაკეთება ძალიან რთულია. უბრალოდ, მოქალაქეებმა პროტესტის მშვიდობიანი ფორმა უნდა ავირჩიოთ, უნდა ვიდგეთ ჩვენი სამშობლოს დასაცავად, რომ არ აღმოვჩნდეთ მტერთან პირისპირ, ერთ ბნელ ოთახში. საკმაოდ დიდი გამოწვევების და კრიზისების წინაშე ვართ, შესაბამისად, ყველას გვმართებს გონიერება დავდგეთ პროტესტის მხარეს, თუმცა ეს პროტესტი აუცილებლად უნდა იყოს მშვიდობიანი, რომ არ მოხდეს პროტესტის დისკრიმინირება, კომპრომეტირება რაღაც ძალადობრივი აქტების მეშვეობით, რომელიც შეიძლება იყოს ამა თუ იმ გამპროტესტებელში თავმოყრილი. შესაბამისად, ეს იქნება ერთგვარი მარათონი და არა სპრინტი ქართული პოლიტიკის და ქართული სახელმწიფოს კრიზისიდან გამოყვანის მცდელობის საქმეში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გვაქვს მარათონის მოგების შანსი, - აღნიშნა პოლიტოლოგმა კობა ჯუმუშაძემ.

აქციის ორგანიზატორების, ახალგაზრდების თქმით, ისინი ბათუმში ყოველდღიურად გააგრძელებენ აქციებს და ხელისუფლებას აჩვენებენ, რომ „ძალა ხალხშია“, რომელსაც უნდა უსმენდეს მთავრობა.

თეატრის თანამშრომელთა ნაწილი გაიფიცა

ქვეყანაში მიმდინარე საპროტესტო ტალღას ყოველდღიურად არაერთ საჯარო თუ კერძო დაწესებულებაში მომუშავე ადამიანი უერთდება. „მე გავიფიცე“ - ამ სლოგანით გუშინ, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის 56 თანამშრომელმა წერილი გამოაქვეყნა.

„ჩვენ, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის თანამშრომლები, კატეგორიულად არ ვეთანხმებით და ვგმობთ ხელისუფლების ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებებს. ასევე, ჩვენთვის საშინლად მიუღებელია მომიტინგეების მიმართ გამოყენებული ძალადობა და სისხლის ღვრა.

აქვე მკაფიოდ ვაფიქსირებთ, რომ ვემიჯნებით თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ჩვენთვის შეურაცხმყოფელ განცხადებებს!

ჩვენ, ვდგავართ ჩვენი ხალხის გვერდით.

დიახ!

თანამშრომელთა ნაწილი გაფიცულია და არ ვაპირებთ სპექტაკლების თამაშს! საქართველოს მომავალი ევროპაშია!

ხელმომწერთა სია განახლებადია“, - აღნიშნულია წერილში.

„ჩვენი შვილები არ უნდა შეეწიროონ მსოფლიო გლობალური ბოროტების ამბიციურ გეგმებს!“

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

„ახლა საპროტესტო აქციები კი არა, სასტიკი ომი მიმდინარეობს საქართველოს წინააღმდეგ“, - აცხადებს „ქართული დასის“ ლიდერი ***ჯონდი ბაღათურია*** *და თვლის, ამ ომის შესაჩერებლად ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს, რადგანაც სხვაგვარად ქვეყანა დაიღუპება. რას გულისხმობს ამ განცხადებაში პოლიტიკოსი, თავად განმარტავს ამ ინტერვიუში.*

- ბატონო ჯონდი, რატომ უწოდებთ საპროტესტო აქციებს ომს?

- იმიტომ, რომ მიმდინარეობს ომი საქართველოს წინააღმდეგ და ის ქართველი 25-26 წლის ბიჭები, პოლიციის ფორმებში, დემონსტრანტების წინააღმდეგ რომ დგანან, იცავენ არა საზოგადოებრივ წესრიგს, არამედ საქართველოს - ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ეს არ არის ფიგურალური გამოთქმა, ეს მართლა ასეა.

- ვისგან იცავენ საქართველოს?

- საქართველოს მტრების შემოსევისაგან.

- საპროტესტო აქციებს ხომ ოპოზიცია მართავს?

- არა, გეშლებათ. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სულ სხვა ფენომენთან. დღეს ამ აქციებს მართავს მსოფლიოში უძლიერესი, გლობალური, აგრესიული, კონსოლიდირებული ბოროტება ლიბერალიზმის სახელით, რომელიც უკვე კარგავს ძალას და მარცხდება ღვთის წყალობით. ბრძოლა მარტო აქ არ მიმდინარეობს, მას დაუნდობლად ებრძვიან ევროპაშიც და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, სადაც არის ამ ბოროტების დისლოკაციის მთავარი ადგილი. სწორედ ამ ბრძოლის ანარეკლია საქართველოში მიმდინარე ომი, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენი ერის განადგურებას ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ამას არც მალავენ და ძალიან მიკვირს, რატომ ვერ გებულობენ, რასთან გვაქვს საქმე.

- რას ნიშნავს „არ მალავენ“, პირდაპირ ასე აცხადებენ?

- კი, პირდაპირ აცხადებენ. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, ევროჩინოვნიკები: გააუქმეთ ლგბტ პროპაგანდის და უცხო ქვეყნის აგენტების წინააღმდეგ კანონები, გამოუცხადეთ ეკონომიკური ემბარგო და ომი რუსეთს. ეს ემბარგო იგივეა, საქართველოს წინააღმდეგ იმოქმედო. ახალგაზრდებს არ ემახსოვრებათ, მაგრამ მე მახსოვს, ჩემი მეგობარი იყო მსგავსი აქციის ორგანიზატორი, სამტრედიაში გადაკეტეს რკინიგზა და რუსეთს გამოუცხადეს ემბარგო. იმ თვეში საქართველოში ვერც პურს, ვერც საპონს ან სხვა პროდუქტს იშოვიდი... ქუჩაში რომ დგანან, ისინი ამას ითხოვენ ახლა. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ ქართველების ცხოვრება ლგბტ თემის პირობებში? ან როგორ იარსებებს სახელწიფო, თუ უცხო ქვეყნებიდან შემოსულ ფულს არ გააკონტროლებს? ან რუსეთთან საომარი მოქმედებების წარმოება იოლი ჰგონიათ?! ეს ხომ სრული აბსურდია, რა ხდება უკრაინაში, ვერ ხედავენ?! საქართველოს მასზე მეტი რესურსი აქვს?! 50-მილიონიანი ქვეყანა იყო უკრაინა, სანამ იქ ლიბერალიზმის აფეთქება მოხდებოდა. ახლა ოცი მილიონიღა შემორჩათ, ერთი მილიონი, მხოლოდ, ახალგაზრდა სამხედრო ჩაეხოცათ. წარმოგიდგენიათ, რა უქნეს ევროპაში რესურსებით ყველაზე დიდ სახელმწიფოს? 90-იანები მონაგონია, რაც იმათ სჭირთ დღეს. ყველაფერ ამას რომ შეაჯამებთ, გასაგები გახდება, რომ სწორედ საქართველოს გამოუცხადეს ომი და ზოგი შეგნებულად, ზოგიც - შეუგნებლად, ქვეყნის დასამხობად იბრძვის დღეს ქუჩაში.

- საშინელი საყურებელია ის, რაც დღეს ჩვენ ირგვლივ ხდება, განსაკუთრებით - ახალგაზრდები, რომლებიც საკუთარ თავზე იღებენ დარტყმებს...

- ამიტომ ვთქვი, რომ გარე მტერთან გვაქვს საქმე. ამ სტუდენტებს უცხოელი ინსტრუქტორები მართავენ. ზოგი რუსიცაა, უკრაინელი, ინგლისელი, გერმანელი. ქვების, პეტარდების და მოლოტოვის კოკტეილების მსროლელებად ჩვენს ბავშვებს იყენებენ. თავად ჩრდილში იმყოფებიან, რომ არ „ჩავარდნენ“ და არ გამჟღავნდეს მათი ვინაობა. ომის შემთხვევაში კი, ეს ხალხი ისევ ინსტრუქტორად დარჩება, ხოლო წინა ხაზზე კვლავ ჩვენს ახალგაზრდებს გარეკავენ ფსევდოპატრიოტული ლოზუნგებით. რა უნდა ვქნათ, ჩვენი ბავშვები დავუთმოთ ამათ?! ეს ხომ დანაშაული იქნება, ისინი, ყველა, ჩვენი შვილები არიან, ამიტომ უნდა ვეცადოთ, ამ ბოროტებას ხელიდან გამოვგლიჯოთ.

- მაინც რა ეწოდება ამ „ბოროტებას“, თუ განზოგადებულად საუბრობთ?

- არა, სრულიად კონკრეტული ორგანიზაციაა. ეწოდება გლობალური ლიბერალური პარტია, რომელიც აშშ-ში „დემოკრატების“ სახელით მოიხსენიება, გერმანიაში - „სოციალ-დემოკრატების“, საფრანგეთში მას მაკრონი და მისი გარემოცვა ლიდერობს, ბრიტანეთში - „ლეიბორისტები“ არიან, მაგრამ ამ წუთში მათ შორის განსხვავება აღარ არის, კონსერვატორებიც და ლიბერალებიც შეიერთეს. ამ ქვეყნების სპეცსამსახურები და

> ***„კობახიძემ არაფერი გადადო. ევროპამ გამოაცხადა, რომ 2030 წლამდე აჩერებს ევროკავშირის გაფართოების პროცესს: უკრაინისთვის, მოლდოვისთვის, სერბეთისთვის, ჩერნოგორიისთვის, საქართველოსთვის... ანუ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში საერთოდ აღარ განიხილავენ არავის წევრობას. ეს კობახიძემ კი არა, ევროპამ გამოაცხადა, რის პასუხადაც პრემიერმა თქვა, რადგან ასეთი სიტუაციაა, ჩვენ 2028 წლამდე მოვემზადებით და ამ პროცესს ორი წლით ადრე გავააქტიურებთო...***

დაზვერვა მუშაობს ახლა ჩვენთან. აქ ეთნიკური საზღვარი, პრაქტიკულად, წაშლილია, რუსიც ბევრი ჰყავთ.

- თქვენი სიტყვებით, წამყვანი ქვეყნები არიან ჩართული ამ ბრძოლაში?

- კი, კაცობრიობა გაიყო ორ ნაწილად: ერთ მხარეს დგანან აგრესიული ლიბერალები, რომელთაც მსოფლიოს გლობალურ ბოროტებას ვუწოდებ, რადგან ასეთი ცბიერი, მზაკვარი, ბოროტად გონიერი ძალა ჯერ არ ახსოვს ისტორიას. ბარიკადის აქეთ მხარეს კი ვდგავართ ქართველები, არაბები, თურქები, ამერიკელები, ევროპელები, ის ხალხი, რომლებიც ადამიანის სახის შენარჩუნებას ვცდილობთ.

- ანუ ეს ბრძოლა მხოლოდ საქართველოში არ მიმდინარეობს?

- არა, რას ამბობთ, ყველგან მიმდინარეობს... ჯვარი გვეწეროს და... ამდენ ხანს საქართველო, სხვებთან შედარებით, უფრო ღირსეულად გამოდიოდა ამ ბრძოლიდან, რადგან შენარჩუნებული გვაქვს მართლმადიდებლობა და კონსოლიდირებული ვართ რელიგიის, ქრისტეს ირგვლივ.

- როდემდე გაგრძელდება ეს გლობალური ბრძოლები?

- ახლა „ესენი“ მარცხდებიან. ნაწილი უკვე დამარცხდა შეერთებულ შტატებში, ევროპაშიც მიმდინარეობს ეს პროცესები. იმედი მაქვს, საბოლოოდ დასუსტდებიან და მიიმალებიან, ასე რომ, ჩვენც უნდა გავიმარჯვოთ იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც ადამიანური არსის, სახის შენარჩუნებას ცდილობენ.

- გამოდის, თქვენ გამართლებულად მიგაჩნიათ პრემიერ ირაკლი კობახიძის მიერ ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნის საკითხის 2028 წლამდე გადადება?

- იცით რა, კობახიძემ არაფერი გადადო. ევროპამ გამოაცხადა, რომ 2030 წლამდე აჩერებს ევროკავშირის გაფართოების პროცესს: უკრაინისთვის, მოლდოვისთვის, სერბეთისთვის, ჩერნოგორიისთვის, საქართველოსთვის... ანუ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში საერთოდ აღარ განიხილავენ არავის წევრობას. ეს კობახიძემ კი არა, ევროპამ გამოაცხადა, რის პასუხადაც პრემიერმა თქვა, რადგან ასეთი სიტუაციაა, ჩვენ 2028 წლამდე მოვემზადებით და ამ პროცესს ორი წლით ადრე გავააქტიურებთო... წერა-კითხვის მცოდნეც საკმარისია, ეს რომ გაიგოს. თუმცა, თქვენ გგონიათ, ვინც ახლა ქუჩაში დგას, არ ესმის? იციან, მაგრამ საქმე არც ამ განცხადებაში და არც კობახიძეშია, ქართული იგავ-არაკი გაიხსენეთ, მგლის და ბატკნის დიალოგი და მგლის პასუხი: „შენი შეჭმა რომ მინდა, მიზეზად ისიც კმარაო“... შეჭმა და განადგურება, ქართველობის დამხობა რომ უნდათ, მიზეზად კობახიძის ნათქვამი ფრაზაც საკმარისია მათთვის. ახალგაზრდები სხვანაირად რომ ვერ გაიყვანეს ქუჩაში, ახლა ევროპისკენ გზას გვიკეტავენო და... ესენიც გამოიშალნენ გარეთ, აღარ ჩაუკვირდნენ, ვინ რა თქვა და რატომ... თუმცა რომ ეგონათ, იმდენიც ვერ გააბრიყვეს. აქციების პიკზე 1000-1500 კაცზე მეტი არ გადის. რა ხდება შიგნით, კარგად ვიცი, არც ხატვის და მუსიკის მასწავლებელი, პოლიტიკოსი ვარ, ჩემო კარგო. ხუთასი კაცი ჰყავთ გაწვრთნილი, რომელიც ქვებს და „მოლოტოვის კოქტეილებს“ ისვრის და, ინსტრუქტორების ბრძანებების მიხედვით, გეგმაზომიერად ესხმის თავს სამართალდამცველებს - სურთ გამოიწვიონ საპასუხო შეტევა და ქულები დაიწეროონ საზოგადოების გულუბრყვილო წრეებში.

- რა კავშირი აქვს ამ პროცესებთან რუსეთს?

- მთელი ამ წარმოდგენის ერთადერთი მთავარი მიზანია, ეკონომიკური ემბარგო დავუწესოთ რუსეთს, არ შემოვიტანოთ ხორბალი, მარცვლეული, რძის პროდუქცია და ასე შემდეგ მაშინ, როდესაც თავად მშვენივრად მარაგდებიან რუსეთისგან. აშშ-ში ხორბლის 30 პროცენტი რუსეთიდან შედის. უარი ვთქვათ ენერგომატარებლებზე, არ გვქონდეს შუქი, გაზი, ლოჯისტიკა გაჩერდეს და ამით დავაზარალოთ... მოსკოვი. ვინ დაზარალდება - მოსკოვი თუ ჩვენ?!

- დავუშვათ, გაიმარჯვა ოპოზიციამ და გადადგა ეს მთავრობა. შემდეგ მართლა დაუწესებენ რუსეთს სანქციებს?

- კი, გამოუცხადებენ, ეს ხომ მათ დავალებული აქვთ, დამოუკიდებლები არ არიან. რამდენიმე დღეში დაუწესებენ რუსეთს სანქციებს, აბა, რას იზამენ? შემდეგ კი ომში ჩაერთვებიან. რუსეთი ორ-სამ სათში გაანადგურებს ჩვენს სამხედრო ინფრასტრუქტურას, ახლანდელი ოპოზიცია კი შემოყრის „ბოევიკებს“ სირიიდან და ბრძოლას გააგრძელებს პარტიზანულად. ხომ გვითხრეს, ტყეში გადით და იქიდან ეომეთ რუსებს, თუ პირისპირ ვერ დაძლევთო... მოკლედ რომ ვთქვათ, საქართველო გადაიქცევა რუსეთ-ამერიკის ომის პოლიგონად, ტერიტორიად, სადაც აწარმოებენ ომებს ზემძლავრი სახელმწიფოები... ჰოდა, მორჩა კინო... ეს ყველაფერი ხმამაღლაა თქმული და გამოცხადებული, არავის დაუფარავს სათქმელი, უბრალოდ, უნდა აკინძო, დაალაგო და დასკვნა გააკეთო. ბლინკენმა არ თქვა, რუსებს ემბარგო დაუწესეთო? ევროკავშირში პირდაპირ გამოგვიცხადეს, ასეთ ლაჩრულ ქცევას ომი არ გირჩევნიათო? ასე თავისუფლად გვეუბნებოდნენ, სულ არ აინტერესებდათ, რა დღეში ჩავარდებოდა ჩვენი მოსახლეობა, ისევე, როგორც წაქეზეს უკრაინა და შემდეგ აჩვენებდნენ დახოცილი ბავშვების ფოტოებს... რა ქნეს 2008 წელს? ჩახოცეს ბიჭები. დაგვეხმარა ვინმე? სააკაშვილის გენერალიტეტი ბუჩქებს ამოფარებული გარბოდა, მინისტრები კი სარფის გამშვებ პუნქტზე რიგში იდგნენ...

- რა კომენტარს გააკეთებთ სალომე ზურაბიშვილის განცხადებებზე?

- მაქსიმალურად კორექტული ვიქნები - სულელური და სასაცილო განცხადებაა, რაც შეიძლება მხოლოდ ფსიქოლოგიური აშლილობის მქონე, აფექტურ მდგომარეობაში მყოფმა არაადეკვატურმა ადამიანმა გააკეთოს. არჩევნები გაყალბებულიც რომ იყოს, მისი ვადა რატომ გრძელდება, ამიხსნას. კონსტიტუციას ვიცავო, რომ ამბობს, ყავლი გაუვიდა და რატომ არ მიდის?“.. რბილად რომ ვთქვათ, ცოტა უცნაური ქალი კია...

- რაც შეეხება პრეზიდენტის პოსტზე ყაველაშვილის კანდიდატურას, როგორ შეაფასებთ?

- პირადად ვიცნობ, ძალიან კარგი ადამიანი, ნაკითხი კაცია. არ ვიცი, მისი დიპლომები არ გადამიმოწმებია, მაგრამ აქტიური დეპუტატი იყო ეროვნული მნიშვნელობის საკითხებში. ყველა კარგად იცნობს და ამიტომ გამიკვირდა ეს ნეგატივი, რაც უსამართლოდ აუგორეს. ვნახოთ, როგორი პრეზიდენტი იქნება და თუ არ მოგვეწონება, შემდეგ ვისაუბროთ.

- დასკვნის სახით, იქნებ შეაფასოთ ის საფრთხე, რომლის წინაშეც დგას დღეს საქართველო?

- თვალნათლივ ჩანს, რომ საფრთხე მართლაც ძალიან დიდი და რეალურია. ამიტომ მთელი ქართული საზოგადოების ისტორიაში ჯერ არნახული, მაქსიმალური კონსოლიდაციაა საჭირო. თითოეული ჩვენგანი უნდა გადაიქცეს საქართველოს პროპაგანდისტულ ჯარისკაცად, უნდა ავუხსნათ თითოეულ ჩვენს მეზობელს, მეგობარს, ნათესავს, ვინც რეალობას ვერ აღიქვამს სათანადოდ, რა ხდება ჩვენს თავს და რა გველის „ამათი“ გამარჯვების შემთხვევაში, რომ ხვალინდელი დღე აღარ გვექნება. ჩვენი შვილები არ უნდა შეეწიროონ მსოფლიო გლობალური ბოროტების ამბიციურ გეგმებს!

გაეროს გენერალური მდივანი საქართველოში მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურა

გაეროს გენერალური მდივნის პრესსპიკერმა სტეფან დუჟარიკმა განცხადება გააკეთა, სადაც ის საქართველოში განვითარებულ მოვლენებს შემაშფოთებელს უწოდებს და აცხადებს, რომ აუცილებელია ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ ყველა ცნობა დროულად და სრული გამჭვირვალობით იქნას გამოძიებული.

„გენერალური მდივანი მოუწოდებს ყველა აქტორს, თავი შეიკავონ ქმედებებისგან, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს შემდგომი ძალადობა და შეეცადონ დაძლიონ უთანხმოება დიალოგის გზით“, - განაცხადა სტეფან დუჟარიკმა.

გია ხუხაშვილი: აქ ოპოზიცია კი არა, ხალხი დაუპირისპირდა ხელისუფლებას და სპონტანურად, სტიქიურად გადმოედინა ქუჩაში

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

რუსთაველზე განვითარებული ტრაგიკული მოვლენების ნორმალურად აღქმა წარმოუდგენელია ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანისთვის. პოზიცია-ოპოზიცია ერთმანეთს ადანაშაულებს იმ ფიზიკურ დაპირისპირებებში, რაც ამ ბოლო დღეების განმავლობაში ხდება

გთავაზობთ ინტერვიუს ექსპერტ ***გია ხუხაშვილთან,*** *რომელიც თვლის, რომ ქართველი ხალხი არ დათმობს და თავად დაიცავს საკუთარ მომავალს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ევროკავშირში შესვლით იქნება დაცული.*

- ბატონო გია, როგორ დაახასიათებთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს?

- სამწუხაროდ, საოკუპაციო ხაზმა შიდა ქართლიდან გადმოინაცვლა თბილისში, რუსთაველზე. ანუ იქ კი არ დგას არმია, საიდანაც მოძალადეები საქართველოს მოქალაქეებს იტაცებდნენ და შემდეგ გვიწევდა მათი გამოხსნა, არამედ აქ, ქვეყნის ცენტრში, სადაც რუსეთი შემოუშვეს და მისი კოლაბორაციონისტების ხელით, ჩვენს მოქალაქეებს იტაცებს და მძევლებად აჰყავს. ეს არის ერთადერთი შეფასება, რაც შეიძლება გავაკეთო ამ ვითარებაში. ვინც აქ დგას, სხვაგვარად ვერ იტყვის, რადგან ჩვენ თვალწინ იშლება ძალადობის გორგალი, რაც ამ ხნის განმავლობაში შედარებით მოკრძალებულ ხასიათს ატარებდა. ეს ყველაფერი მოჰყვა პრემიერის სახელმწიფო გადატრიალების ტოლფას განცხადებას 2028 წლამდე ევროკავშირთან მოლაპარაკებების შეჩერების თაობაზე.



- მეჩვენება, რომ „ისინი“ ვეღარ აკონტროლებენ სიტუაციას და დირექტივები პირდაპირ მოსკოვიდან მოდის. პუტინს აქვს საკუთარი დღის წესრიგი და „ქართული ოცნების“ პრობლემები უკვე ნაკლებად აღელვებს. რუსეთი ჩქარობს, ოკუპაციის პროცესი რაც შეიძლება სწრაფად დაასრულოს, რათა მოლაპარაკებების გლობალურ არენაზე, უკეთესი პირობები მიიღოს. ჩვენი ქვეყნისა და ხელისუფლების თავის ტკივილი ვის აინტერესებს.

- თუ შეიძლება, დააკონკრეტეთ ფრაზა „სახელმწიფო გადატრიალების ტოლფასი“.

- კონსტიტუციაში პირდაპირ წერია, რომ ევროკავშირში გასაწევრიანებლად ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა აკეთოს უწყვეტად. თუკი ხელისუფლება გავა კონსტიტუციის წესრიგის ფარგლებიდან, ეს ნიშნავს, რომ პირდაპირ აწყობს სახელმწიფო გადატრიალებას. ცხადია, ამას არავინ აპატიებს და ხალხი შეეცდება კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას. ეს არის პირდაპირი დემოკრატიის აქტი, როდესაც შენ გართმევენ იმ მანდატს, რომლის გამოც აირჩიე ან არ აირჩიე ესა თუ ის პოლიტიკური ძალა. ამ დროს ხალხს არა მხოლოდ უფლება აქვს, ვალდებულება აქვს, აღადგინოს კონსტიტუციური წესრიგი, კანონიერება ქვეყანაში. ახლა სწორედ ეს პროცესები მიმდინარეობს. ხალხი ართმევს მიცემულ მანდატს უზურპატორს, ცდილობს, ჩამოაშოროს ქვეყნის მმართველობის სადავეებს იმ შემთხვევაში, თუ არ დაბრუნდება კონსტიტუციის ჩარჩოებში.

- არჩევნების შემდეგ ასე თუ ისე დამშვიდებული ხალხი ქუჩაში რატომ უნდა გამოეყვანა თავად პრემიერს?

- არავინ არ იყო დამშვიდებული, პროტესტი არსად წასულა, ის იყო, უბრალოდ, სამზარეულოში გადაინაცვლა, ანუ კონსოლიდირებული პროტესტი არ იყო, ჩვენ ვერ ვხედავდით, თუმცა კულუარებში არსებობდა, იზრდებოდა და ძლიერდებოდა.

- თუ იყო, რატომ არ გამოდიოდნენ საპროტესტო აქციებზე?

- იმიტომ, რომ ლიდერი არ ჩანდა, რომელიც ამ პროტესტის კონსოლიდაციას და მის კაპიტალიზაციას შეძლებდა, ახლა კი ბოლო ზღვარზე გავიდნენ, წითელი ხაზი გადაკვეთეს და ხალხმა ინიციატივა საკუთარ ხელში აიღო - ყოველგვარი ლიდერის გარეშე. მიხვდა საქართველო, რომ საკუთარ თავს თავად უნდა უშველოს და ყოველგვარი პოლიტიკური კუთვნილება დაივიწყა. აქ ოპოზიცია კი არა, ხალხი დაუპირისპირდა ხელისუფლებას და სპონტანურად, სტიქიურად გადმოედინა ქუჩაში. თუ დააკვირდებით, კონკრეტული ლიდერები ამ მოძრაობას არ ჰყავს. აქ უკვე აღარ არის საუბარი, მთავრობაში ვინ იქნება თუ არ იქნება, არჩევნები გაყალბდა თუ არ გაყალბდა, აქ საუბარია იმაზე, რომ ქვეყანას, ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს ართმევენ გრძელვადიან მომავალს, აქედან გამომდინარე, ეს რეაქცია ბუნებრივია.

- აქამდე „ქართული ოცნება“ მსგავს დაპირისპირებებს ერიდებოდა. იქნებ ჰქონდა კობახიძეს მსგავსი განცხადების სერიოზული საფუძველი?

- თქვენც ამბობთ, რომ მოსკოვი ულტიმატუმს უყენებს „ოცნებას“. ხელისუფალთა განცხადებითაც, ამ ნაბიჯებით ცდილობენ საქართველოსთვის რუსეთთან შეიარაღებული კონფლიქტის თავიდან აცილებას. **თუკი ომი მართლა დაიწყება, როგორ ფიქრობთ, რა გველოდება?**

- ტყუილია ეს ყველაფერი, ხელისუფლების პროპაგანდაა, ამ ეტაპზე რუსეთს არ აქვს ომის წარმოების არანაირი რესურსი. გაიხსენეთ წინასაარჩევნო ლოზუნგები, მათ ხომ საარჩევნო კამპანია პოზიტიურ დაპირებებზე არ აუგიათ, მხოლოდ ხალხს აშინებდნენ - „მე თუ არ ვიქნები, ომი დაიწყებაო“... მეტი ხომ არაფერი ჰქონდათ. ეს იყო შიშზე დაფუძნებული ხელოვნური არგუმენტი, რომელმაც საკმაოდ კარგად იმუშავა. ვინც დაიჯერა, ის შეაშინეს.

- მოვლენების განვითარების პროგნოზირებას შეძლებთ?

- არა, ასეთი ვითარების პროგნოზირება, უბრალოდ, შეუძლებელია. იმის იმედი მაქვს, რომ ხალხი არ გაჩერდება, სისტემა რღვევას დაიწყებს, რისი სიმპტომებიც უკვე გამოჩნდა. მართალია, სისტემური ხასიათი ჯერ არ მიუღია, მაგრამ პირველი ნიშნები სახეზეა. უკვე დააფიქსირეს საკუთარი პოზიცია პროფესორ-მასწავლებლებმა, იუსტიციის, თავდაცვის, საგარეო საქმეთა სამინისტროების, მერიის თანამშრომლებმა, დიპლომატებმა და სხვ. ეს პროცესი, როგორც გამოცდილი გვაქვს, თუ დაიწყო, აღარ შეჩერდება, წრე გაფართოვდება. აქვე გაითვალისწინეთ, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთის პოზიციას, ფაქტია, რომ უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება, ეს ხელისუფლება მარტო ძალაზე რეაგირებს. მისთვის მორალის კითხვას და ლოგიკურად საუბარს აზრი არ აქვს. ვფიქრობ, დროა, ვიღაცებს ეტკინოთ.

- ძალის გამოჩენასა და ტკივილის მიყენებაში რას გულისხმობთ?

- სანქციების დაწესებას, რადგან დასავლეთი ომს და თავდასხმებს არ დაიწყებს. კონკრეტული სანქციები კი ყველას დაანახებს, რატომ არის აუცილებელი ევროკავშირის მფარველობა და მასთან ერთად კაცობრიობისთვის უკეთესი მომავლის შენება. ამ პროცესის ნიადაგზე შიდა პროტესტიც გაძლიერდება. აქვე ისიც უნდა გამოჩნდეს, რომ ევროპა მხარს უჭერს ქართველ ხალხს, სურს მისი დემოკრატიულ რელსებზე დაყენება და ეს ყველაფერი კეთდება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს საკეთილდღეოდ.

- დავუშვათ, გადადგა „ქართული ოცნება“. თქვენ ამბობთ, რომ ლიდერი არ ჩანს, წარსული უზურპატორები არავის უნდა. ვინ დადგება ქვეყნის მმართველობის სადავეებთან?

- სამწუხაროდ, ლიდერი, რომელსაც ვენდობით და ხალხი კონსოლიდირებულად მხარს დაუჭერს, არ არის, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ის გზა, რითაც ხელისუფლებას მივყავართ - საქართველოს დაღუპავს. მთავარია, კატასტროფამდე არ მივიდეთ და შევაჩეროთ პროცესები, რომლებიც ელვის სისწრაფით გვაბრუნებს ჩრდილოეთში, ამიტომ ჯგუფზე, მულტიპარტიული მმართველობის სისტემაზე უნდა ვისაუბროთ. წინასაარჩევნოდ სწორედ ამის იმედი გვქონდა.

- ამ სისტემის მწარე გამოცდილებაც გვაქვს, რომელიც საბოლოოდ მაინც დიქტატორული მმართველობის რეჟიმით ჩანაცვლდა, რადგან როგორც კი ქვეყნის მმართველობის სადავეებთან მოხვდნენ, პარტიების ლიდერებმა ვერ გამოძებნეს საერთო ენა, ძალაუფლებას ყველა სათავისოდ ექაჩებოდა.

- კი, ასე იყო, მაგრამ რა არის, იცით? ეს კულტურა უნდა შევიძინოთ, რადგან მიმდინარე პროცესებს და ძალაუფლების უზურპაციას მაინც სჯობია. ერთპიროვნული მმართველობის მხოლოდ ნეგატიური გამოცდილება გვაქვს ჩვენ. საბოლოოდ ყველა ხელისუფალი ხდებოდა უზურპატორი, მიშაც ასე იყო და მისი წინამორბედებიც. მულტიპარტიული მმართველობა დემოკრატიის შიდაპოლიტიკურ ბალანსებს მაინც აჩენს.

- კი, თუ მოუსმინეს ერთმანეთს...

- თუ სურთ ქვეყნის მართვა, ისწავლონ მოსმენა და სხვისი აზრის გათვალისწინება.

- რას იტყვით პრეზიდენტობის ახალ კანდიდატზე?

- საქართველოში პიროვნების კულტი დამყარდა, ეს ხომ არ არის მხოლოდ ერთპარტიული სისტემა. შესაბამისად, რელიგიური აღქმაა ამ ყველაფრის. იმის გათვალისწინებით, რომ პიროვნების კულტია, მისი სურვილი არის კანონი. მას შეუძლია ნებისმიერი მოსაზრებით, რაც შეიძლება ყველასთვის გაუგებარი იყოს, რაღაც ნაბიჯები გადადგას. რაც შეეხება ყაველაშვილს, მასზე სერიოზულად ვერ ვისაუბრებ.

- როგორ ფიქრობთ, ოპოზიციის მხრიდან მათი დეპუტატების მანდატების ჩახსნის პროცესი როდის დაიწყება და აქამდე თავს რატომ იკავებდნენ?

- იმისათვის, რომ ეს პროცესი, ანუ ხელისუფლების დელეგიტიმაციის მოთხოვნა წარმატებით დასრულებულიყო, აუცილებლად გვჭირდებოდა დასავლეთის მხრიდან შესაბამისი დასკვნების გამოტანა. მანამდე ამას აზრი არ ჰქონდა. იმასაც ითვალისწინებდნენ, დასავლეთს არ მოეცა ახალი არჩევნების ჩატარების რეკომენდაცია და მხოლოდ კრიტიკულად შეეხედა ხელისუფლებისთვის ანუ ირიბად მაინც ეღიარებინა არჩევნები და „ოცნებასთან“ ეთანამშრომლა. ამ შემთხვევაში, პროტესტის გრძნობა დარჩებოდა, მაგრამ ოპოზიციონერები მთავარი პარტნიორის გარეშე დარჩებოდნენ. მანდატების ჩახსნით რა პრაქტიკულ შედეგს მიიღებდნენ? ვერაფერს! ახლა დასავლეთმა მიიღო გადაწყვეტილება და განაცხადა - ეს არჩევნები არ შეიძლება ჩაითვალოს არჩევნებად, რომ დარღვევები ისეთ ხასიათს ატარებდა, რამაც შედეგები არსებითად შეცვალა. თუ დასავლელი პარტნიორები ამ საბოლოო შეფასების შემდეგ იმ მექანიზმებს ჩართავენ, რაც დაანონსებული აქვთ, ვფიქრობ, ეს არის ყველაზე ადეკვატური მომენტი, რომ ოპოზიციის დეპუტატების მანდატების ჩახსნა მოხდეს. ამასთან, მოხდეს არსებული ხელისუფლების სრული საშინაო და საგარეო დელეგიტიმაცია.

- შეერთებულმა შტატებმაც გაწყვიტა საქართველოსთან სტრატეგიული თანამშრომლობა...

- ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან შეერთებული შტატების გარეშე ევროკავშირი მოქმედებას არ დაიწყებდა. ისინი სინქრონულად მოქმედებენ. ამდენ ხანს, შეერთებულ შტატებში გარკვეული პაუზა იყო იქიდან გამომდინარე, რომ მისი ხელისუფლება გარდამავალ ეტაპზეა. ვიცოდით, რომ ამა თუ იმ ქვეყანასთან მიმართებით, სტრატეგიული გადაწყვეტილებებისთვის მაინცდამაინც არ ეცალა, თუმცა, როგორც ვხედავთ, მოიცალა და მაინც დააფიქსირა საკუთარი პოზიცია ჩვენი ხელისუფლების მიმართ. ვნახოთ, რა მოხდება. პარალელურად, ვფიქრობ, რომ პროტესტი არ უნდა განელდეს. თუ დღეს ხელისუფლებას ვინმე ლეგიტიმაციას მისცემს, ეს იქნება პოლიტიკური სუიციდის ტოლფასი.

> ***მეჩვენება, რომ „ისინი“ ვეღარ აკონტროლებენ სიტუაციას და დირექტივები პირდაპირ მოსკოვიდან მოდის. პუტინს აქვს საკუთარი დღის წესრიგი და „ქართული ოცნების“ პრობლემები უკვე ნაკლებად აღელვებს. რუსეთი ჩქარობს, ოკუპაციის პროცესი რაც შეიძლება სწრაფად დაასრულოს, რათა მოლაპარაკებების გლობალურ არენაზე უკეთესი პირობები მიიღოს. ჩვენი ქვეყნისა და ხელისუფლების თავის ტკივილი ვის აინტერესებს***

როგორი პოლიტიკური ამინდი იქნება ხვალ?

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

შინაშლილობა პოზიციასა და ოპოზიციას შორის, რომელიც წლებია, გრძელდება, ბოლო პერიოდში მძაფრ დაპირისპირებაში გადაიზარდა, ქვეყანა მასობრივმა საპროტესტო მოძრაობამ მოიცვა, დემონსტრაციები იმართება ქვეყნის ქალაქებსა და რაიონებში. მოთხოვნა ერთია - ქვეყანა დაუბრუნდეს ევროინტეგრაციის კურსს. თავის მხრივ, მმართველი პარტია აცხადებს, რომ საქართველოს დასავლურ კურსზე უარი არ უთქვამს და ოპოზიციის ბრალდებები უსაფუძვლოა

როგორია მიმდინარე პროცესები ანალიტიკოსთა თვალით? რა დასკვნებსა და რეკომენდაციებს გვთავაზობენ მდგომარეობის დასტაბილურებისთვის? - ამ კითხვებზე საჯარო მმართველობის დოქტორი, ბსუ-ის ლექტორი ***გიგა ფარტენაძე*** *გვპასუხობს.*

- მიმდინარე პროცესებზე ვისაუბროთ - ამჟამინდელ ვითარებაზე რას იტყვით?

- რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება, არის ყოველგვარ პარტიულ ინტერესზე მაღლა და გამოხატავს ჩვენი ქვეყნის, საქართველოს ეროვნულ ინტერესს. გულწრფელ მადლობას ვუხდი თითოეულ იმ ადამიანს, რომელიც ამ დღეებში აქტიურობს და იცავს ქვეყნის ევროპულ მომავალს. მშვიდობიანი აქციის მონაწილეებისა და ჟურნალისტებისადმი განხორციელებულ ძალადობას ვგმობ და სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ მათ. პროცესები ღრმა სახელმწიფო კრიზისის მაჩვენებელია, ეს მოვლენები პროვოცირებულია იმ პარტიის მიერ, რომელიც 2028 წლამდე აჩერებს ჩვენი ქვეყნის ისტორიულ არჩევანს - საქართველო გახდეს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი.

- მმართველი პარტიის წევრები აცხადებენ, რომ ოპოზიციის მიზანია რევოლუციის მოწყობა...

- მმართველი პარტიის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ 2028 წლამდე აჩერებენ ევროკავშირთან მოლაპარაკებების პროცესს, რბილად რომ ვთქვათ, აზიანებს ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესს. ეს არ არის ქართველი ხალხის დაკვეთა, არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება ხელისუფლებაში, ჩვენ კონსტიტუციის 78-ე მუხლი გვავალდებულებს, დავიცვათ ეს პრინციპი და სახელისუფლებო პარტიის მიერ გაკეთებული მსგავსი განცხადებები სწორედ რომ პროვოცირებას ახდენს, მასობრივად გამოვიდეს საზოგადოება გარეთ და დავიცვათ ჩვენი ქვეყნის ეროვნული, ისტორიული მონაპოვარი, დავიცვათ კონსტიტუცია და მოვითხოვოთ მისი ეფექტურად აღსრულება.



> ***„რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება, არის ყოველგვარ პარტიულ ინტერესზე მაღლა და გამოხატავს ჩვენი ქვეყნის, საქართველოს ეროვნულ ინტერესს. გულწრფელ მადლობას ვუხდი თითოეულ იმ ადამიანს, რომელიც ამ დღეებში აქტიურობს და იცავს ქვეყნის ევროპულ მომავალს. მშვიდობიანი აქციის მონაწილეებისა და ჟურნალისტებისადმი განხორციელებულ ძალადობას ვგმობ და სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ მათ. პროცესები ღრმა სახელმწიფო კრიზისის მაჩვენებელია...***

- გამართულ არჩევნებზე ვისაუბროთ, მით უმეტეს, სწორედ, არჩევნების გამოძახილია ქვეყნის დღევანდელი რეალობა - დასავლეთი არ აღიარებს ამ არჩევნების ლეგიტიმურობას. ეს რისი მანიშნებელია?

- შეიძლება ითქვას, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები ხასიათდებოდა საგრძნობი დარღვევებით და მანიპულაციებით, რაც ასახულია ეუთო-ოდირის დასკვნაშიც და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საარჩევნო სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპის „ნების ფარულობის“ დარღვევის მასობრივი ფაქტები, რაც უკავშირდება საარჩევნო ბიულეტენზე მარკერით გაკეთებული პოზიციის იდენტიფიცირების შესაძლებლობას. დაველოდოთ საბოლოო დასკვნას, ის აუცილებლად იქნება ობიექტური და ყოველგვარ მიკერძოებას მოკლებული.

- ბალტიისპირეთის ქვეყნებმა სანქციები დაუწესა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს, მსგავსი მოწოდებები ისმის ევროპარლამენტის მხრიდან. თქვენი აზრი ამის შესახებ...

- ევროკავშირი არის კოლეგიალური გაერთიანება, მასში გადაწყვეტილებები მიიღება სრული კონსენსუსისა და თანხმობის საფუძველზე. როგორც ვიცით, უნგრეთი და სლოვაკეთი წინააღმდეგი იყო საერთო სანქციების და ამის გამო ინიციატივა და გადაწყვეტილებები უკვე ინდივიდუალურ დონეზე, სახელმწიფოების დისკრეციული უფლებების განხორციელების ნაწილში განვითარდა.

- მიმდინარე დემონსტრაციებზე ბევრი დაზიანდა, ოპოზიცია ხელისუფლების სისასტიკეზე, მმართველი პარტია კი დემონსტრანტების ვანდალიზმზე საუბრობს...

- მიმდინარე საპროტესტო აქციების დროს დედაქალაქის ქუჩებში უმოწყალოდ, ბრუტალურად და სრულიად არაპროპორციულად იყენებდნენ ძალას ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები, რაც მეტყველებს მხოლოდ და მხოლოდ იმაზე, რომ ხელისუფლებას ეშინია დემონსტრაციების გაგრძელების და ცდილობს, ამ მეთოდებით დააშინოს ხალხი, მაგრამ ამ აგრესიას ზამბარის ეფექტი ჰქონდა და კიდევ უფრო მეტი ადამიანი გამოიყვანა გარეთ.

- აშშ-ის მიერ სტრატეგიული თანამშრომლობის შეჩერება რა საფრთხეს შეიცავს საქართველოსთვის?

- ეს არის ძალიან მძიმე გადაწყვეტილება საქართველოსთვის, აშშ-სგან სტრატეგიული პარტნიორობის შეჩერება ნიშნავს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ რისკის ქვეშ დააყენა საქართველოს თავდაცვისუნარიანობა, შეერთებულ შტატებთან სავაჭრო ურთიერთობა, არაღიარების პოლიტიკა, განათლების პროგრამები და სხვა.

- დაბოლოს, პროცესების რა განვითარებას ელოდებით ქვეყანაში?

- ძალიან მარტივად და მოკლედ გეტყვით, თუ როგორ შეუძლია ხელისუფლებას

მთავარია დოკუმენტის აღრიცხვიანობის სიზუსტე, წარმომავლობის დრო, ადგილი, საჯაროობა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ქედაში საარქივო საქმეს საუკუნოვანი ისტორია აქვს. მის საქმიანობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს ტერიტორიული ორგანოს ქედის არქივის უფროსი ბადრი შერვაშიძე გვესაუბრება

- უკვე 14 წელია, რაც ამ თანამდებობაზე ვმუშაობ. მაქვს პატივი გავაგრძელო ის საქმიანობა, რომელსაც წლების განმავლობაში ჩემი წინამორბედები დიდი რუდუნებითა და პროფესიონალიზმით ასრულებდნენ. მათი დამსახურებით დღეს 15 ათასამდე საქმეს ვინახავთ. ვინც ხელთ აიღებს აწ განსვენებულ პუბლიცისტის შალვა აბაშიძის წიგნს ქედის ისტორიაზე, დარწმუნდება, თუ რა დიდი სამსახური გაუწია მას ჩვენმა საქვეუწყებო დაწესებულებამ. უწყებაში დასაქმებული 5 თანამშრომელი შესაძლებლობის მაქსიმუმს ვაკეთებთ, რომ თითოეული მოქალაქე ჩვენგან კმაყოფილი წავიდეს. იყო საქმეები, რომლის მოსაძიებლად მოქალაქეების ბათუმში ან ქუთაისში გადამისამართება გვიხდებოდა. ახლა ერთიან ელექტრონულ ქსელში ვართ ჩართული და მოქალაქეს ქედიდან გასვლა აღარ უხდება.

- ქვეყნის ახლანდელი ვითარება თქვენს საქმიანობაზე როგორ აისახება?

- ჩვენთვის მთავარია შემოსული საქმის დამუშავება და მისთვის ადგილის მიჩენა. საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი ის პოლიტიკური ვითარება, რაც საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდანაა. ადრეც და ახლაც ერთ ფაქტსაც ვერ დაგვისახელებენ, შემოსულ დოკუმენტზე ტაბუ რომ დაგვედოს. ყოველთვის ვცდილობთ, დავიცვათ დოკუმენტის აღრიცხვიანობის სიზუსტე, მისი წარმომავლობის დრო, ადგილი და საჯაროობა.

- იყო დრო, როცა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, თუნდაც მუნიციპალიტეტში არსებული ორგანიზაცია-დაწესებულებები საარქივო საქმეების მოწესრიგებას სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ...

- ნათქვამია: თუ მთა არ მიდის მუჰამედთან, მუჰამედი უნდა მივიდეს მთასთან. ჩემი ჩათვლით, ყველა ვცდილობთ, გავიდეთ ორგანიზაციებში, კონსულტაციები, საქმიანი დახმარება გავუწიოთ იმ პირებს, ვისაც სკოლებში, ორგანიზაცია-დაწესებულებებში საარქივო საქმეების წარმოება აქვს მინდობილი. მუშაობის ამ ფორმამ სტატისტიკურ მაჩვენებლებში ასახვა ჰპოვა. ყოველ წელს 100 ერთეულით მატულობს დამუშავებული საქმეების რაოდენობა.

- ქედა ქვეყანაში ერთ-ერთი წამყვანი მუნიციპალიტეტია ტურიზმის განვითარების მიმართულებით. ეს თქვენი დაწესებულების მუშაობაში როგორ წარმოჩნდება?

- რამდენიმე წელია, ჩვენთან ტურიზმის განვითარების სააგენტო მოქმედებს, რომელსაც რაულ ცინცაძე ხელმძღვანელობს. უცხოელ და ადგილობრივ ვიზიტიორებსაც აქვთ ჩვენთან საქმე. ჩვენი და ყველას ვალია, ქედაში ტურიზმის განვითარებას, ახალი ტურისტული ტერიტორიების მონიშვნას ხელი შევუწყოთ. ცნობილია, რომ ქედაში მოქმედი სახალხო დღესასწაული „შემოდგომა ქედაში“ წინა საუკუნის 30-იანი წლებიდან იღებს სათავეს. თუ სათანადო ორგანოებიდან დაფინანსება გვექნება, არქივის მუშაკებს ჩაფიქრებული გვაქვს ამ მნიშვნელოვან სახალხო დღესასწაულს, რომელმაც საუკუნის განმავლობაში ტრანსფორმაცია განიცადა, ბროშურა მივუძღვნათ.

- ახალ წლამდე დიდი დრო აღარ რჩება. თქვენი სურვილები?

- ქვეყნად და პლანეტაზე მშვიდობამ დაისადგუროს, აღმშენებლობითი პროცესები, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს, უფრო მასშტაბური გახდეს. ჩვენც მეტი მასალა შევმატოთ არქივს.

მე-13 საერთაშორისო გამოფენა - ბათუმში

ბათუმი ხვალ სამშენებლო მასალების, ტექნოლოგიებისა და უძრავი ქონების მე-13 საერთაშორისო გამოფენას „BATUMI BUILD 2024“ უმასპინძლებს. გამოფენის ორგანიზატორია საერთაშორისო საგამოფენო კომპანია „EXPO BATUMI“

ორგანიზატორების თქმით, „BATUMI BUILD 2024“ აერთიანებს სამშენებლო ინდუსტრიაში არსებულ ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიებს ერთ სივრცეში, რაც ხელს შეუწყობს კომპანიებისა და ვიზიტიორების გაცნობას, მათ შორის, B2B და B2C შეხვედრების ორგანიზებას, ბიზნესკონტაქტების მოძიებასა და შემდგომში პარტნიორული ურთიერთობების გაგრძელებას.

ასევე, ეს არის უნიკალური შესაძლებლობა, გაეცნონ უახლეს სამშენებლო ტექნოლოგიებს და უძრავი ქონების სფეროში არსებულ თანამედროვე საინჟინრო ტენდენციებს.

გამოფენა ხვალ სასტუმრო „შერატონში“ ოფიციალურად გაიხსნება და 8 დეკემბერს დასრულდება. დასწრება თავისუფალია.

დაცარიელებული სოფლები, გამოკეტილი სახლები...

ნახევარ საუკუნეზე მეტია, შრომით საქმიანობაში ვარ ჩართული, მათგან 47 წელია, ჟურნალისტად ვმუშაობ აჭარის მთიანეთში. მრავლის მომსწრესა და მნახველს კარგად მახსოვს ის წლები, როცა ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონებში ჭარბი შრომითი რესურსი იყო და მათი გაყვანა დაიწყეს ჯერ აჭარის ზღვისპირეთის რაიონებში, შემდეგ გურიის რეგიონში - ნასაკირალში, ნარუჯაში, ლაითურში, შრომის თემში

აჭარის მთიანეთიდან მოსახლეობის გაყვანამ მასობრივი ხასიათი 1989 წლის 19 აპრილის სტიქიური მოვლენის შემდეგ მიიღო. საუბედუროდ, მოსახლეობის სხვა რეგიონებში გაყვანის პროცესი თავიდანვე მიზნობრივი და მართული არ იყო. გავიხსენოთ სოფელ წაბლანიდან მოსახლეობის გადაყვანა ბათუმში არსებულ სანატორიუმებსა და ტურბაზებში. მაშინ გაფუჭებული საქმის გამოსწორება მხოლოდ ბოლო დროს გახდა შესაძლებელი, როცა წაბლანელებს ბათუმში მრავალბინიანი სახლი აუშენეს.

სტიქიისგან დაზარალებული და ამ მოვლენას ნებსით თუ უნებლიეთ გაყოლილი მრავალი ოჯახის ბედი უფრო უმართავი გახდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე. აღარავის ეცალა ჯავახეთის ზეგანსა და ქვემო ქართლის, სამეგრელოს სოფლებში გადაყვანილი მოსახლეობისთვის. მრავალი ოჯახი იძულებული გახდა, უკან დაბრუნებულიყო. იგივე ჯავახეთის ზეგანზე - აზმანაში, ოკამში, გოგაშენში, აფნიაში, კოთელიაში, ჩუნჩხასა და პტენაში თითო ძროხის ფასად გაყიდეს მყარად აშენებული სახლები, რაც ხელს აძლევდა იმ ერის წარმომადგენლებს, რომლებიც რუსულმა რეჟიმმა 1829 წლიდან ძირძველ ქართულ მიწებზე „დაამკვიდრა“. ისიც აღსანიშნავია, რომ წინა საუკუნის 90-იან წლებში მერაბ კოსტავას საზოგადოებამ 60-ზე მეტ ოჯახს ნინოწმინდის რაიონის სოფელ სპასოვკაში დუხობორების მიერ მიტოვებული სახლები შეუძინა. მეკეიძეებელ ვანაძეებს, მიქელაძეებს ლამის სიცოცხლის ფასად დაუჯდათ ქართულ მიწაზე ცხოვრება. მოძრაობა „ჯავახქის“ ლიდერი და ძმანნი მისნი ახლაც ვერ იტანენ შრომისმოყვარე ქართველების იქ ცხოვრებას. სამაგალითოდ ისიც საკმარისია, თუ როგორ გააუქმეს ნინოწმინდაში არსებული სკოლა-პანსიონი. „ჯავახქის“ ლიდერებს ქვეყანაში გამოუჩნდა მხარდამჭერები ყოფილ სახელმწიფო დამცველ ნინო ლომჯარიასა და სხვათა სახით. გულსატკენია, რომ დღემდე სრულყოფილად არაა გადაწყვეტილი ნინოწმინდის სოფლებში გადასული ოჯახებისთვის მიწების საკუთრებაში დაკანონება.

ეს წიაღსვლა იმიტომ დაგვჭირდა, რომ საზოგადოებამ კარგად იცოდეს აჭარის მთიანეთიდან სხვა რეგიონებში გადაყვანილი ოჯახების ბედი. 10-ზე მეტი გავერანებული ქართული სოფელი (ერისიმედი, ფიროსმანი, ვაზიანი, მუხროვანი, დისველი, აზმანა, ივერია, ჭერეთისკარი, ხიხანი, ახალი დიოკნისი, მარადისი) გააცოცხლეს აჭარიდან გადასულებმა და ახლაც აგრძელებენ ცხოვრებას. შუახევის რაიონის სოფლებიდან მუხროვანში გადასულმა რამინ დავითაძემ, მინდია აბაშიძემ, ავთანდილ ფევაძემ და სხვებმა კარგად იციან, რა ძალისხმევა დასჭირდა სოფელში მართლმადიდებლური ტაძრის აგებას. ეს მადლიანი საქმე კიდევ უფრო ადრე აღასრულეს დისველში (ბოლნისის რაიონი). იქაც წამყვანი სიტყვა ბოლნისის ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა მეუფე ეფრემმა (იგი აჭარაშია დაბადებული) და შუახეველებმა თქვეს. ტაძარი წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობისაა. შუახეველები, ხულოელები ახლა ტაძარში მოსალოცად ხშირად მიდიან. წელს, ნოემბერ-დეკემბრის გასაყარზე, 10-მდე შუახეველმა მოილოცა ბოლნისის ეპარქიაში. ამით ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელებს მიანიშნეს, რომ იქ დამკვიდრებულ ოჯახებს მეტი ყურადღება მიაქციონ.

მრავალს კარგად ახსოვს ის დრო, როცა ახმეტის, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების სოფლებში აჭარის მთიანეთიდან (ყველაზე მეტი - შუახევიდან) ოსების მიერ გაყიდულ სახლებში 200-მდე ოჯახი გადაიყვანეს. პროცესი საზეიმო იყო, შემდგომი ყურადღება - ნულის ტოლი. საარჩევნო კამპანია რომ მოახლოვდება, აჭარიდან გადასული ოჯახები მაშინ ახსენდებათ, სხვა დროს კი...

მისასალმებელი იყო შუახევის მუნიციპალიტეტის ყოფილ მერ ფრიდონ ფუტკარაძის გასვლა ადგილობრივი კულტურისა და ხელოვნების მუშაკებთან ერთად ქვემო ქართლის ტერიტორიებზე მცხოვრებ ოჯახებთან. სამცხე-ჯავახეთის, თრიალეთის, ქვემო ქართლის, კახეთის, ქართლის სოფლებში გადასულების ხშირი სტუმარია და მათი პრობლემებით ინტერესდება პარლამენტარი ანზორ ბოლქვაძე.

ქვეყნის სხვა რეგიონებში გადასულებს გარკვეული პრობლემები შეექმნათ ასლან აბაშიძის რეჟიმის წლებში. ცენტრისა და რეგიონის დაპირისპირება უარყოფითად აისახებოდა სხვა რეგიონებში მცხოვრებთა პირობებზე. საჭირო და მიზნობრივ მოძრაობას დაუდო სათავე მაშინ შუახევის რაიონის გამგებელმა ანზორ გოგიტიძემ. გურიის რეგიონში, კერძოდ, შრომის თემში, მეგობრობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების ღონისძიებები გამართა. წავიდა ანზორ გოგიტიძე შუახევიდან და მის მიერ წამოწყებულ ამ ღონისძიებას გამგრძელებელი აღარ ჰყოლია.

გაზეთი „აჭარა“ ხშირად ეხმაურება აქედან გადასულების პრობლემებს, რასაც ხშირად კონკრეტული საქმეებიც მოჰყვება ხოლმე.

მიწისადმი გონიერი დამოკიდებულება აქვთ აჭარის მკვიდრთ, რადგან ნაყოფიერი მიწების ნაკლებობა აქ ოდითგანვე პრობლემა იყო. სწორედ მიწის გონიერი გამოყენებით ააწყვეს ცხოვრება წალკის, მარნეულის, ნინოწმინდის, ლაგოდეხის, გარდაბნის მუნიციპალიტეტებში გადასულებმა. სპასოვკის მკვიდრი იყო ავდანეთის ბრძოლების ვეტერანი, მეკეიძეებელი რეზო ცინარიძე. მან შესანიშნავი მეურნეობა მოაწყო და თბილისსა და ბათუმში საცხოვრისი გაიჩინა. ვიდრე აჭარიდან, კერძოდ, სოფელ მახალაკიძეებიდან (შუახევი) ლაგოდეხის რაიონის სოფელ არეშფერანში დამკვიდრებულებმა კარტოფილი არ დათესეს, მანამდე ამ კულტურის მოვლა-მოყვანით არავინ დაინტერესებულა. ადრე ანალოგიური სიტუაცია გურიაშიც იყო.

მოსახლეობის გაყვანა აჭარის მთიანეთის სოფლებიდან ახლაც გრძელდება სტიქიური მოვლენების გამო. სტიქია, მიგრაცია აჭარის მთიანეთის სოფლებს აცარიელებს. 20-25 წლის წინ იშვიათობა იყო გამოკეტილი სახლები, გავერანებული ეზოები. სოფლების დაცარიელებას სკოლებში მოსწავლეთა რიცხვის კლება მოჰყვა. დაცარიელდა ფოთაროს, ძაღიანის, ნაგომარის, დარგულას, ოკისის, ზეკარის, მთისუბნის, გორას, ბარის, ზედა მახალაკიძეების უბნები და გაუქმდა იქ არსებული დაწყებითი სკოლები. იყო წლები, როცა შუახევში 35 დაწყებითი სკოლა მოქმედებდა. ახლა მათი (სკოლა-ფილიალები) რაოდენობა 14-მდეა დასული. 30-მდე მოსწავლე დარჩა ისეთ დიდ სკოლებში, როგორიც იყო ოლადაურის, უჩამბის, ტბეთის (ინწკირვეთი) სკოლები. 3 მოსწავლეა გოგაძეების სკოლაში, სადაც ერთ დროს 130-ზე მეტი ბავშვი იყო. არადა, სკოლების შენარჩუნება სოფლებში ყველას სამოქმედო პროგრამაა ქცეული, რაც მატერიალური ბაზის გაუმჯობესებით დასტურდება.

ბრმა უნდა იყო, რომ ვერ დაინახო ის ყურადღება, რაც ამ ეტაპზე აჭარის მთიანეთის სოფლებს ექცევა. ცენტრების კეთილმოწყობა, გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა, სპორტული მოედნები, წყალსადენები თითქმის ყველა სოფელშია. უკვე გაჩნდა მარნები, საოჯახო სასტუმროები... კარგია, რომ რიგი თანადაფინანსების პროგრამები მოქმედებს, თუმცა იგი ყველასთვის ხელმისაწვდომი როდია - მხოლოდ ერთეულები სარგებლობენ, რადგან ძალიან ბევრი ბარიერია გადასალახი. კარგი იქნება, მუნიციპალიტეტების დონეზე შეიქმნას სამსახური, რომელიც კოორდინაციას გაუწევს პროგრამებით სარგებლობისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოებას.

ტურიზმის განვითარებასაც მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ. მთებში (თაგინური, ღომა, ჩირუხი, ბეშუმი, ზოტიყელი) არსებული ტურისტული ლოკაციების მსგავსად, სოფლების სიახლოვესაც უნდა გაჩნდეს ტურისტული ობიექტები. მეტი თანხების გამოძებნაა საჭირო ისტორიული და კულტურული ძეგლების მოვლა-შენახვისთვის.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში მეტი თანხა უნდა გამოიყოს სიღარიბის ზღვარზე მყოფი ოჯახების დასახმარებლად. კარგია ქედელთა ინიციატივა, როცა უბინაო ოჯახებს ახალ სახლებს უშენებენ. წლებია, შუახევის მუნიციპალიტეტშიც ძველი სახლების ახლით ჩანაცვლების პროგრამა მოქმედებს, მაგრამ კიდევ მეტი თანხის მობილიზებაა საჭირო.

„რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება, არის ყოველგვარ პარტიულ ინტერესზე მაღლა და გამოხატავს ჩვენი ქვეყნის, საქართველოს ეროვნულ ინტერესს. გულწრფელ მადლობას ვუხდი თითოეულ იმ ადამიანს, რომელიც ამ დღეებში აქტიურობს და იცავს ქვეყნის ევროპულ მომავალს. მშვიდობიანი აქციის მონაწილეებისა და ჟურნალისტებისადმი განხორციელებულ ძალადობას ვგმობ და სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ მათ. პროცესები ღრმა სახელმწიფო კრიზისის მაჩვენებელია...

მკლავჭიდელებმა იასპარეზეს

შუახევის სპორტული ცენტრის ორგანიზებით, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხარდაჭერით, სპორტულ ცენტრში მკლავჭიდში 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ჩატარდა.

მარჯვენა და მარცხენა ხელის გადაწევაში შუახევის 7 საჯარო სკოლის 30-ზე მეტი მოსწავლე მონაწილეობდა. მარჯვენა ხელის გადაწევაში პირველი-მესამე ადგილები მიშიკო ტაკიძემ, თემურ აბაშიძემ და საბა ხიმშიაშვილმა გაიყვეს. მიშიკო ტაკიძე მარცხენა ხელის გადაწევაშიც პირველ ადგილზე გავიდა. მეორე ადგილი გიორგი ტაკიძემ დაიკავა, საბა ხიმშიაშვილი მესამე ადგილს დასჯერდა.

საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოს უფროსმა შუქრი ყიფიანმა, შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, მერის მოადგილე რუსუდან შავაძემ მედლებით, თასებითა და სიგელებით დააჯილდოვეს.

სპორტულ პაექრობას ომში დაღუპულთა მშობლები და ახლობლები ესწრებოდნენ.

- 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა საქართველოს მოუნელებელი ტკივილი დაუტოვა. უსამართლო ომმა მრავალი ახალგაზრდა შეიწირა და ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი დაიკარგა. ყველა საღად მოაზროვნე საქართველოს მოქალაქის ვალია, სხვადასხვა ფორმით პატივი მიაგოს სახელოვანი გმირების ხსოვნას. შუახევში გამართული ტურნირიც ამის გამოძახილია. ჭაბუკები კარგად იყვნენ მომზადებულები, - გვითხრა შუქრი ყიფიანმა.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

„ნიჭიერის“ სცენაზე „გუგუნი“ აგუგუნდა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ქართულ ტელესივრცეში ერთ-ერთ ყველაზე რეინტიგულ და სახალხო პროექტ „ნიჭიერში“ ქედის კულტურის ცენტრთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ბეთლემის“ ვაუ მოცეკვავეთა ჯგუფიც მონაწილეობს. მათ მიერ შესრულებულმა აჭარული ცეკვების პოპურმა ჟიურის წევრებისა და მაყურებლების მაღალი შეფასება დაიმსახურა. ჯგუფმა ამ ნომერს „გუგუნი“ უწოდა. ჩვენი სტუმარია აჭარული საცეკვაო ილეთების ერთ-ერთი საუკეთესი შემსრულებელი აჩიკო დედოფალიძე

- ის, რომ „განდაგანას“ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული, ბევრისმთქმელია. ფოლკლორის მკვლევარებს „განდაგანის“ 60-მდე ნიმუში აქვთ მოძიებული და სცენაზე გამოტანილი. ისიც აღსანიშნავია, რომ თოფუზ გაბაიძის, თოფან მელაძის, მუხამედ ართმელაძის, ცხმორისელი ირემაძეების, ენვერ ხალვაშის, მუხამედ ირემაძის, ალიოსმან დავითაძისა და სხვათა სახით „განდაგანას“ ინდივიდუალური შემსრულებლები ჰყავდა. 21-ე საუკუნეში კიდევ უფრო მეტი პეწი და სილამაზე შეიძინა ქვეყნის ისტორიულ კუთხეში დავანებულმა ხალხური ცეკვების ნიმუშებმა. „ბეთლემის“ წევრებმა, თაზო ბერიძისა და იმედა ფარტენაძის ჩართულობით, დავამუშავეთ ის ილეთები, რაც დღემდეა შემონახული. მას ჩვენი საშემსრულებლო მანერა და ჟინიც შეერწყა და... ასე წარვსდექით საყოველთაოდ ცნობილ ტელეპროექტ „ნიჭიერში“.

- ჟიური და მაყურებელი აღფრთოვანებული დარჩა თქვენი ხელოვნებით.

- ხელოვანი მაშინაა კმაყოფილი, როცა დარბაზი ოვაციით აცილებს. ეს განწყობა გამოგვყვა თითოეულს სცენიდან. რა თქმა უნდა, სიხარულს ვერ ვფარავდით ჟიურის წევრების შეფასების შემდეგ. 17 დეკემბერს კვლავ დავდგებით „ნიჭიერის“ სცენაზე.

- ამჯერად მაყურებელს რას შესთავაზებთ?

- მოდით, ზოგიერთი რამ გაუმხელელი დავტოვოთ. ერთი კი ცხადია - ისევ აჭარული ცეკვებით შემოვიფარგლებით.

- იმედა ფარტენაძის ხელდასმით ჩამოყალიბებული ანსამბლი „ბეთლემი“ წარმატებას წარმატებაზე აღწევს. რამ განაპირობა ეს?

- იმ ერთსულოვნებამ, მიზანსწრაფვამ, რაც ანსამბლში სუფევს. ორი წლის წინ, როცა „ბეთლემში“ მიმიწვიეს, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ასეთი თბილი გარემო დამხვდებოდა. უცხოეთის ორ ქვეყანაში (რუმინეთი, ბულგარეთი) გავმართეთ გასტროლი. იშვიათია ქედის, თუნდაც აჭარის, ქვეყნის მასშტაბით გამართული ფესტივალი, საღვთო თუ საერო დღესასწაული, რომლის მონაწილეთა შორის „ბეთლემი“ არ იყოს. ყველას დიდ მონაპოვრად მიგვაჩნია სახალხო ანსამბლის სტატუსის მონიჭება. აღსანიშნავია ის დიდი თანადგომა, რომელსაც მუნიციპალიტეტის, ქედის კულტურის ცენტრის, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობა იჩენს ჩვენ მიმართ.

- წლევანდელი სახალხო დღესასწაული „შემოდგომა ქედაში“ თქვენი დაბადების დღეს დაემთხვა. 30 წლის აჩიკო დედოფალიძემ ცხოვრების, შრომის რა გზა გამოიარა?

- პირველ რიგში, მინდა ვისარგებლო თქვენი გაზეთით და მადლობა გადავუხადო ბათუმის ამყამინდელი მე-11 საჯარო სკოლის პედაგოგებს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, ბათუმის ხალხური ხელოვნების სკოლის ხელოვანებს, პედაგოგებს. უჩა ჯანგველაძიდან დაწყებული, ყველამ თავისი წილი გაიღო, რომ ხელოვნების აღმართ-დაღმართებზე სვლა დამეწყო. 16 წლის ვიყავი, როცა სცენაზე დავდექი. უნივერსიტეტში სატყეო საქმის სპეციალობას დავეუფლე. არ ვნანობ, ვინ იცის, სად და როდის დამჭირდება. სპორტითაც ვიყავი გატაცებული - ადრეულ ასაკში ტანვარჯიშში აჭარის ჩემპიონიც გავხდი. პირველი წარმატება ცეკვაში 2016 წელს მოვიპოვე, როცა ტელეკომპანია „იმედის“ პროექტში „შენ შეგიძლია ცეკვა“ გამოვედი.

- ბათუმელმა ჭაბუკმა „ბეთლემში“ როგორ დაიმკვიდრეთ ადგილი?

- ეს ნაბიჯი მთავარ ქორეოგრაფ იმედა ფარტენაძესთან მეგობრობის ნიშნად გადავდგი. თვალსა და ხელს შუა გაგვეპარა ორი წელი. კიდევ ერთი რამ მაკავშირებს და მაახლოებს „ბეთლემთან“ - თამუნა მახარაძე მალე ჩემი ცხოვრების თანამგზავრი გახდება.

- „ნიჭიერში“ გამოსვლა ვისი იდეა იყო?

- ანსამბლის. კულტურის ცენტრთან არსებული გუნდის თითოეული წევრის ერთსულოვნებამ მიგვიყვანა „ნიჭიერამდე“.

- ცეკვას „გუგუნი“ რატომ დაარქვით?

- სახელწოდება ჩემგან მოდის. მომწონს სიტყვა „გუგუნი“, აგუგუნება. ესეც ერთგვარი ერთსულოვნების გამოძახილია.

- გვარი დედოფალიძე საქართველოში იშვიათობაა...

- აჭარაში დედოფალიძეები ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეში სახლობენ. ჩემი მშობლები იქიდან საცხოვრებლად ადლიაში გადმოვიდნენ. მამა გივი დედოფალიძე ფერმერია, დედა - მკერავი, იგი მერისელია. ალბათ დედის სიყვარულმაც განაპირობა ჩემი „ბეთლემში“ მოხვედრა. ოჯახში და-ძმა გავიზარდეთ. ანაც ქორეოგრაფია. ადრე თუ ჩვენს დოსტატებაზე სხვები ზრუნავდნენ, ახლა ამ ტვირთს და-ძმა ვინაწილებთ. ჩვენი ხელდასმით ათობით ბავშვი ეუფლება ცეკვას.

- რას ისურვებდით?

- მსურს, მსოფლიოში მშვიდობამ დაიმყარებოს. ხელოვანი სცენაზე რომ გამოდიხარ, სამისო განწყობაც უნდა გქონდეს. ომი, ტყვიების ზუზუნი, ქვემეხების გრიალი ყველაფერს აცამტვერებს. პატარა ქვეყნისა და მცირერიცხოვანი ერის შვილებმა გონებას უნდა მოვუხმოთ, ეროვნულ საუნჯეებს სიფრთხილით მოვეკიდოთ.

> *„ორი წლის წინ, როცა „ბეთლემში“ მიმიწვიეს, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ასეთი თბილი გარემო დამხვდებოდა. უცხოეთის ორ ქვეყანაში (რუმინეთი, ბულგარეთი) გავმართეთ გასტროლი. იშვიათია ქედის, თუნდაც აჭარის, ქვეყნის მასშტაბით გამართული ფესტივალი, საღვთო თუ საერო დღესასწაული, რომლის მონაწილეთა შორის „ბეთლემი“ არ იყოს. ყველას დიდ მონაპოვრად მიგვაჩნია სახალხო ანსამბლის სტატუსის მონიჭება*

„ჩემთვის თეატრი უფრო პრიორიტეტულია“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

რუბრიკა „ბლიცინტერვიუს“ სტუმარია ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის ახალგაზდა მსახიობი ხატია ფოფხაძე. ის ბათუმში დაიბადა, აქვე დაამთავრა ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის დრამისა და კინოს სამსახიობო ფაკულტეტი

2 წელია, ბათუმის დრამატულ თეატრში მუშაობს. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „პეპი მაღალიწინდა“, „უბედურება“, „ხანუმა“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „დედა კურაჟი“, „ობლების ქალაქი“, „ურჩხული და მზეთუნახავი“, „მე ვხედავ მზეს“, „მოკვეთილი“.

- ხატია, რამ განაპირობა თქვენი არჩევანი, გამხდარიყავით დრამისა და კინოს მსახიობი?

- ბავშვობიდან მომწონდა ფილმები და მაინტერესებდა ეს სფერო, როგორ იღებდნენ და ქმნიდნენ პერსონაჟებს. სპექტაკლებისადმი, ასევე, დიდი ინტერესი მქონდა. რა გზებს გადიოდნენ მსახიობები, სანამ სცენაზე გამოვიდოდნენ და რა ხდებოდა სცენის მიღმა. ამიტომაც გადავწყვიტე საკუთარი ძალების მოსინჯვა.

- თეატრში როგორი ატმოსფერო დაგხვდათ?

- საოცარი! მსახიობები გვერდით მედგნენ და ყველაფერს მასწავლიდნენ. მიზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებას. ძალიან კარგი და ნაყოფიერი პერიოდი იყო.

- ვინ დაგეხმარათ თქვენი შესაძლებლობების უკეთ წარმოჩენაში?

- ამაში ჯგუფის ხელმძღვანელი და მისი ასისტენტები გვეხმარებოდნენ - თავს არ ზოგავდნენ ჩვენი პროფესიული ზრდისთვის.

- რა იყო თქვენთვის ყველაზე რთულად დასაძლევი?

- რა თქმა უნდა, ყველაზე რთული პირველი ნაბიჯები იყო. დღესაც ვაწყდები სირთულეებს, მაგრამ, ვფიქრობ, ეს საინტერესოცაა. ყოველი სირთულის გადალახვის შემდეგ რაღაცას ვსწავლობ.

- რომელ პარტნიორს გამოარჩევთ და რატომ?

- ვერცერთს გამოვარჩევ, რადგან ყველანი ძალიან კარგები არიან.

- კინოფილმებში გადაღების გამოცდილება თუ გაქვთ?

- ძალიან ცოტა და... რატომღაც საკმაოდ მძაბავს გადაღების პროცესი.

- თეატრი თუ კინო?..

- კინოც ძალიან კარგია, მაგრამ ჩემთვის თეატრი უფრო პრიორიტეტულია. ფილმში მარტივია შეცდომის გამოსწორება, სპექტაკლში კი ძალიან რთული - დაშვებული შეცდომა იმწამსვე უნდა გამოასწოროო, თან ისე, რომ პარტნიორიც არ დააბნიო. თუ საჭირო გახდა, იმპროვიზაცია უნდა ჩართო და შენი შეცდომა რაღაცით გაამართლო. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია მაყურებლები, მათი შეფასება, აპლოდისმენტები კი ძალიან სასიამოვნო და ემოციურია.

- გაქვთ თუ არა საოცნებო როლი, რომელსაც სიამოვნებით ითამაშებდით?

- ვფიქრობ, ყველა კარგი როლი საოცნებოა.

- ახლა როგორი როლები გხვდებათ, თავიდანვე მოგწონთ, თუ მათზე მუშაობისას განეწყობით დადებითად?

- ყოფილა შემთხვევა, როცა თავიდანვე მომწონებია ჩემი როლი, მაგრამ ისეც ხდება, თავიდან არ მოგწონს, მუშაობის პროცესში კი, რაც უფრო მეტად ფიქრობ და ერკვევი, მით უფრო მოგწონს და ითავისებ როლს.

- რომელ სპექტაკლს გამოარჩევთ და რატომ?

- კონკრეტულად - ვერცერთს.

- გაქვთ თუ არა ინტერესის სხვა სფერო?

- ისეთი არა, რომ საკუთარ თავს იქ ვხედავდე, მაგრამ სიამოვნებით ვისწავლიდი მინანქარზე მუშაობას და ძერწვას.

- რა გეგმები გაქვთ?

- ამ ეტაპზე - მაქსიმალური გამოცდილების მიღება ჩემს პროფესიაში, რათა უფრო მეტად განვვითარდე როგორც მსახიობი.

„ჩემი სარკმელი“

წლევანდელი ოქტომბერი გამორჩეული იყო პოეტ ნანა აბულაძისთვის. თბილისში, კულტურის ცენტრ „მუზაში“ გამართულ მასშტაბურ ღონისძიებაზე უჩხოს საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი აკადემია „გვირილამ“ და ასოციაცია „საქართველოს ქალბატონებმა“ წლის საუკეთესო შემოქმედ მასწავლებელთა ათეულში წარადგინეს, მას „წლის ვარსკვლავოსნის“ ტიტული მიეკუთვნა

ნანა აბულაძემ პირველი პოეტური კრებულის გამოცემისთანავე მიიპყრო ყურადღება. თავის ლექსებს იგი არაერთ ლიტერატურულ გამოცემასა და ინტერნეტში აქვეყნებს, ამასთან, პოეზიის, წიგნის სიყვარულს გულდაგულ უწილადებს თავის ათობით მოსწავლეს და კეთილ ნაყოფსაც იმკის - ისინი წარმატებით ეუფლებიან ცოდნას, აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო-მხატვრულ ღონისძიებებში. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა პედაგოგი სწავლებისას ნოვაციებს ნერგავს, წარმატებით იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს. დღეს იგი ჩვენი გაზეთის სტუმარია.

- საკუთარ პერსონას როგორ წარმოგვიდგენთ?

- ლექსებს ბავშვობიდან ვწერ, ვარ ორი პოეტური კრებულის ავტორი - „ჩემი სარკმელი“ და „მზისფერი ფოთლები“. ვცხოვრობ მთიან აჭარაში და პედაგოგიურ მოღვაწეობას ვეწევი. ჩემი რამდენიმე ლექსი დაბეჭდილია აჭარის პოეტ ქალთა ანთოლოგიაში.

- თქვენი ცხოვრება რომ წიგნი იყოს, რა სათაური ექნებოდა?

- ალბათ ჩემი პირველი წიგნის სახელი - „ჩემი სარკმელი“, რომელიც ხან მზიანია და ხან - სევდიანი.

- როგორი იყო თქვენი განვითარების გზა?

- ვფიქრობ, მეტწილად, რთული. განვითარებისთვის შრომაა საჭირო. წარმატებული პედაგოგი რომ გავმხდარიყავი, ამისთვის მართლაც ძალიან ბევრი ვიშრომე.

- შთაგონება როდის გსტუმრობთ? თქვენი წიგნები მუზის წყალობაა თუ შრომის შედეგი?

- შთაგონება თავისით მოდის, როცა ძალიან ბედნიერი ან მოწყენილი ვარ. ვფიქრობ, ორივეა - მუზის წყალობაც და შრომის შედეგიც.

- როგორც პედაგოგს, რამე განსაკუთრებული სათქმელი გაქვთ ამ ეტაპზე?

- როგორც მასწავლებელი, ყველას ვურჩევ და განსაკუთრებით, მშობლებს, ესაუბრონ ბავშვებს სამშობლოზე, ეროვნულ გმირებზე, ხშირად ატარონ ბავშვები ექსკურსიებზე, რათა ბავშვობიდანვე გაუღვივონ პატრიოტიზმი.

- როდის გრძნობთ თავს ბედნიერად?

- მაშინ, როცა ჩემი ოჯახის წევრები თავს კარგად და ბედნიერად გრძნობენ. ასევე, ბედნიერი ვარ, თუნდაც, მზიან ამინდში, ზოგჯერ წვიმაც მაბედნიერებს, ჩემი მოსწავლეების სიყვარულიც, პატარა წვრილმანებიც ბედნიერს მხდის.

- მადლობა, ბოდიში, მაპატიე - ამ სიტყვებს რა ადგილი უჭირავს თქვენს ლექსიკაში?

- არ ვეკუთვნი ადამიანების იმ კატეგორიას, რომელსაც ბოდიშის მოხდა უჭირთ, ბოდიშიც ბევრჯერ მომიხდია და პატიებაც მითხოვია. იდეალური და უშეცდომო არავინაა, პატარ-პატარა შეცდომებზე ვსწავლობთ ყველაფერს, მადლიერების განცდა კი სულს ამსუბუქებს, ჩემს ლექსიკაში არის სამივე სიტყვა.

- ადამიანის უმთავრესი თვისება და ამ თვისებით შემკული ადამიანები - თქვენ ირგვლივ...

- უმთავრესი, ჩემი აზრით, ჰუმანურობაა, რომელიც ადამიანს წარმოაჩენს, ალამაზებს და ამაღლებს, მაგრამ ვფიქრობ, ასეთები იშვიათობაა. ჩემ ირგვლივ ამ თვისების მქონე ადამიანები არიან, მადლობა ღმერთს.

- რაზე იტყოდით, ნეტავ, შემეძლოს...

- ნეტავ, შემეძლოს სამყაროს გაფერადება ისე, რომ აღარ იყოს ტკივილი, დარდი, წუხილი...

- პირველი წიგნი, რომელმაც ფიქრის გზას შეგაყენათ...

- ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“ ძალიან მიყვარს, იგი ბევრ რამეზე გვაფიქრებს, სამშობლოზე, მეგობრობაზე, სულიერ სიმტკიცეზე...

- ბუნებაში ყველაზე მეტად რა გიზიდავთ და რატომ?

- მიზიდავს გაზაფხულის სითბო და სურნელი, მოწყენილი ცა და წვიმა, ულამაზესი და სევდიანი შემოდგომის ფოთლები. ეს ყველაფერი სულთან ახლოა.

- თავიდან რომ დაიბადოთ, როგორ წარმართავდით ცხოვრებას?

- ისევ ლექსებს დავწერდი, ისევ მასწავლებლობას ავირჩევდი, მაგრამ ვიმოგზაურებდი ძალიან ბევრს და უფრო მეტ კარგ მოგონებას დავაგროვებდი...

- ციფრულ ტრანსფორმაციასთან თქვენი დამოკიდებულება როგორია? ნოვაციებს როგორ იყენებთ პედაგოგიურ საქმიანობასა და საკუთარი ციფრული პროდუქციის შექმნისას?

- ციფრული ტექნოლოგიები ძალიან მეხმარება სასწავლო პროცესის წარმართვისას. გავლილი მაქვს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების რამდენიმე ტრენინგი, შევქმენი უამრავი ციფრული მასალა, რომელსაც ვიყენებ გაკვეთილებზე, ამავდროულად, ვიყენებ იმ რესურსებსაც, რომლებიც ინტერნეტსივრცეში არსებობს და ხელმისაწვდომია. ტექნოლოგიებით ვსარგებლობ მიზნობრივად და ზომიერად.

- როცა ხვალინდელ დღეზე ფიქრობთ...

- ვისურვებდი, რომ ხვალ უფრო უკეთესი დღეები გვქონოდეს ყველა ქართველს.

- სათქმელი, რომელიც აქამდე არ გითქვამთ და ახლა გსურთ, გაუზიაროთ ჩვენს და თქვენს მკითხველებს...

- ვფიქრობ, ხალხმა ნელ-ნელა დაკარგა ერთმანეთის მიმართ სიყვარული. ღმერთს ვთხოვ, სიყვარულს მთლიანად ნუ ამოაშლევინებს ადამიანებს გულებიდან.

„მთელი ცხოვრება კითხვებია მოაზროვნე ადამიანისთვის“

ეკა ჭითავას *მშვენიერმა თარგმანებმა და ლექსებმა ამჯერად ჟურნალ „ჭოროხის“ ბოლო ნომრიდან მიიპყრო მკითხველთა ყურადღება. ახალგაზრდა, კრეატიულ პედაგოგსა და პოეტს მკითხველი კარგად იცნობს ინტერნეტსივრციდან. ჯგუფ „წიგნიპედიას“ დამფუძნებელს სრულიად მართებულად აღიქვამენ როგორც განმანათლებელს, წიგნის უბადლო მცოდნეს, პროპაგანდისტს და მადლიერებითაც მოიხსენიებენ. იგი დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია.*

- როგორ წარუდგებით ჩვენს მკითხველს?

- როცა საკუთარ თავზე მთხოვენ საუბარს, არასოდეს ვამბობ ხაზგასმით სიტყვა „პოეტს“. ძალიან თვითკრიტიკული ვარ და ყოველთვის ვფიქრობ, ამართლებს თუ არა ჩემი ლექსები ამ წოდებას. ჩემი ცხოვრება პოეზიის სიყვარულია, მუდმივად მასთან სიახლოვე და მისკენ სწრაფვა. ჩემს ლექსებში მუდამ ადამიანობის დანაკლისზეა ჩივილი, სამყაროს ადამიანები აკლია, ამიტომაც მკითხველი მიხვდება, რომ ჩემთვის არაფერია ადამიანურ მხარეზე უპირატესი. ჩემი არსებობა არის ადამიანობის, სამშობლოს და პოეზიის სიყვარული.

- თქვენს თარგმანებზე რას იტყვით და სამომავლოდ რას შესთავაზებთ მკითხველს?

- მთარგმნელობა ურთულესი ხელოვნებაა და გავბედე მასთან შეჭიდება. პასუხისმგებლობაა ლექსის ახალ ენაზე დაბადება. ძირითადად ამერიკულ პოეზიას ვთარგმნი და ვცდილობ, არ გავცდე ტექსტის შინაარსს, არ გავაქართულო. მკითხველს ვერაფერს ვპირდები ჩემი არაპროგნოზირებადი ხასიათიდან გამომდინარე. მაქვს ძალიან დიდი სურვილი ამერიკელი ფემინისტი პოეტების, დაიანა დი პრიმას „რევოლუციური წერილები“ და ადრიანა რიჩის ერთი პოეტური ციკლი ვთარგმნო.

- საუკეთესო მშობლების შვილი ხართ, რაც საამაყოცაა და საპასუხისმგებლოც...

- ვამაყობ ჩემი წარმომავლობით. მათი სწორი აღზრდის შედეგია, რომ ღალატი ჩემთვის სრულიად უცხოა, ვარ ყოველთვის ის, რაც ვარ. ღმერთი შემაძლებინებს, ბოლომდე გავამართლო მათი მოლოდინი. ჩემი დატვირთული რეჟიმიდან გამომდინარე, იდეალური ყურადღებით არ გამოვირჩევი, მაგრამ მათ

სრულიად ესმით ჩემი. რა თქმა უნდა, მადლიერებით ვარ მუდამ განწყობილი. ძალიან საპასუხისმგებლოა შვილის აღზრდა, დიდი ნებისყოფა და შრომა სჭირდება, მხოლოდ მატერიალური უზრუნველყოფა არაა საკმარისი, შვილთან მუდმივი სიახლოვე და ემოციური მხარდაჭერა აუცილებელია. ჩემმა მშობლებმა ბნელი 90-იანების პირობებში ჩვენთვის მაქსიმუმი გააკეთეს.

- პირველი წიგნი, რომლის შთაბეჭდილება დღემდე მოგყვებათ?

- პირველი წიგნი სულცხონებულმა ბებიაჩემმა მისახსოვრა. სწორედ მან მაქცია წიგნის ჭიად. პირველად ჟიულ ვერნის „მოგზაურობა დედამიწის ცენტრისაკენ“ წავიკითხე და ჩემს გონებასაც დიდხანს შემორჩა მის საუცხოო სამყაროში მოგზაურობა. ასე „მოვიწამლე“ პირველად წიგნით. დღემდე ვერნი ჩემს ფავორიტ მწერლად ითვლება, რადგან მან მომაქცია პირველად შთაბეჭდილების ქვეშ. ეროვნული განსხვავება მის გმირებს არ აშორებს ერთმანეთისგან, პირიქით, გვაუწყებს, რომ ყველა ისინი ერთი დედამიწის შვილები არიან. დღემდე ვერნი თავისი სადა სტილით ჩემთვის გამორჩეულია. სახლში არ მქონდა ბევრი წიგნი, სოფელში ბიბლიოთეკაც არ იყო. ბებია მამარაგებდა წიგნებით, ძალიან ნაკითხი იყო, ლიტერატურა უყვარდა. მისგან გამომყვა ბერძნული მითოლოგიისა და ანტიკური ლიტერატურის სიყვარული.

- კითხვები, რომელიც არასდროს გტოვებთ...

- მთელი ცხოვრება კითხვებია მოაზროვნე ადამიანისთვის. უმეტესად მაღელვებს მსოფლიო ქაოსი და ღირებულებათა გაუფასურების უწყვეტი პროცესი. ასევე მაინტერესებს, რატომ გაცივდა კაცობრიობა სიყვარულის მიმართ? რატომ შლიან იმ ნავს, რომელშიც თავად არიან? იმპერიული ცივსისხლიანი სახელმწიფოების პირველობის ამბიციებს ხალხი ეწირება. კაცობრიობა წარმატების უმაღლეს ნიშნულს მაშინ მიაღწევს, როცა ომი ყველგან იქნება დაგმობილი. ვფიქრობ, ამას განზრახ უვლიან გვერდს, რაც დიდი ბოროტებაა.

- ადამიანმა ბედნიერად რომ იგრძნოს თავი, უპირველესად, რა არის ამისთვის არსებითი?

- არ არსებობს ბედნიერად ქცევის ფორმულა. ეს, ალბათ, სულიერი სიმშვიდე და ჯანმრთელი სხეულია. ამ ეპოქის სნეულებაა სულის ტკივილი. ადამიანებს თვალები აღარ უციმციმებთ, გულწრფელად არავინ იღიმის. მატერიალური კეთილდღეობა სულს ვერ ამშვიდებს. ჩემს შვილებს, მოსწავლეებს ვესაუბრები ხშირად, ცხოვრება სამყაროს ნებისმიერი შვილისთვის არის რთული და გადასალახი. შეცდომა გარდაუვალია, რადგან არავინ იცის ზუსტი შედეგი. მოკლედ, რომ ვთქვათ, ეს ცხოვრება ერთი დიდი თავსატეხია. უნდა ვცადოთ ბედნიერი წუთების დაჭერა, რომ შემდეგ მოგონებებში გავთბეთ.

- იცვლება ჩვენი ყოფიერება, მაგრამ ცნობიერება რამდენად შეესატყვისება რეალობას?

- ჩვენს ერში მკვეთრად უკეთესობისკენ არაფერი შეცვლილა, არც ყოფიერების და არც ცნობიერების მხრივ. ჩემი აზრით, ჯერჯერობით, არსებითად ადამიანი არ შეცვლილა, მისი მსოფლხედვა იგივე დარჩა.

- თქვენ რომ განათლების მინისტრი იყოთ, რა რეფორმებს განახორციელებდით ამ ეტაპზე?

- ნაკლები დატვირთვა მასწავლებლებს. წელიწადში რამდენჯერმე იცვლება მინისტრი და მასწავლებლები ვერ ვასწრებთ ახალ-ახალ კანონებზე მორგებას. მკაცრად გავაკონტროლებდი სწავლების ხარისხს და გავაუმჯობესებდი ბავშვების სოციალიზაციის ხარისხს. სკოლა არ არის მხოლოდ საგნების ასათვისებელი, მას თან აღმზრდელობითი ფუნქცია და ჯანსაღი თაობის შექმნაში უდიდესი როლი აქვს.

- წარსულიდან, ჩვენი ისტორიიდან ვის გამოიხმობდით და რატომ?

- საინტერესო კითხვაა. არ მიფიქრია არასოდეს. ალბათ, დიდ ქართველებს, რომლებმაც თავი შესწირეს საქართველოს, ვერ გაიხარეს თავიანთ ერში და ბრძოლით შეეწირნენ, ვერ გამოვიხმობდი სირცხვილის და მორიდების გამო, რადგან მათ თავგანწირვასაც აუფასურებენ ხშირად. წარსული არ უნდა დავივიწყოთ და გავაუფასუროთ, მაგრამ მუდმივად წარსულის ცქერა განვითარების საშუალებას არ იძლევა. ახლანდელ დროში უნდა დავსახოთ ამოცანები და შევქმნათ უკეთესი მომავალი.

- ციფრულ ეპოქაში ვცხოვრობთ. თქვენი დამოკიდებულება...

- არ მაქვს ცუდი მოლოდინი და დადებითად ვარ განწყობილი. საინტერესოა... არ გიფიქრიათ, რომ ადამიანები უკონტროლოდ მოგზაურობენ ციფრულ სამყაროში? მეშინია, ადამიანი შეუმჩნეველი არ გახდეს და დაიკარგოს ბუნებრიობის აღქმა. ცნობილ ნეირომეცნიერ შპიცერს აქვს ნაშრომი „ციფრული დემენცია“, სადაც ციფრული ეპოქის სამომავლო საფრთხეებზე საუბრობს. მთავარია, არ გამოიწვიოს კაცობრიობის თვითიზოლირება და რეალურმა ხელოვნებამ და კულტურამ არ შეწყვიტოს განვითარება.

- დაბოლოს, თქვენ რომ კორესპონდენტი იყოთ, რას ჰკითხავდით რესპონდენტს?

- თქვენს დასმულ კითხვებზე მოვისმენდი მათ პასუხებს. საინტერესოა, რამდენად ხშირად ემთხვევა ადამიანების აზრი ერთმანეთს.

გვერდი მოამზადა
ლაშა ხომერიკმა

„პირველი ავტოგრაფი“ საზეიმოდ დაიხურა

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

საყმაწვილო-სასკოლო თეატრალური დასების ფესტივალი „პირველი ავტოგრაფი“ საზეიმოდ დაიხურა. დაჯილდოებამდე მაყურებელმა არასაკონკურსო სპექტაკლი „რწყილი და ჭიანჭველა“ იხილა, რომელიც მოზარდთა თეატრალურმა სტუდია „დეფიციტმა“ წარმოადგინა. მისი ხელმძღვანელი, ასევე, სპექტაკლის სცენარის ავტორი და რეჟისორი პეტრე ჩარგეიშვილი გახლავთ

სპექტაკლში მონაწილეობდნენ: ბარბარე გაბაიძე, ნინია მურუსიძე, ანასტასია ხიდიბეგიშვილი, ბარბარე კაცაძე, მარიამ კეკელიძე, თათია ბოლქვაძე, ნიკოლოზ ბარაბაძე, თემო ბოლქვაძე, ალექსანდრე მამალაძე, მათე მამულაძე, გაგი გიორგაძე, ალექსანდრე ბერიძე და ლევან ცინცაძე.

წელს ფესტივალის ჟიურის წევრები იყვნენ: რეჟისორი ლევან წულაძე, დრამატურგი თამარ ბართაია, მსახიობი ეკა ჩავლეიშვილი და თანატოლი ჟიურის 1 წევრი. ფესტივალში აჭარის ყველა მუნიციპალიტეტიდან ათობით დასი მონაწილეობდა, ასევე, საკვირაო სკოლის შემოქმედებითი ჯგუფი საფრანგეთიდან.

თანატოლი ჟიურის რჩეული ნომინაციაში „საინტერესო პერსონაჟი“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლის მოსწავლე გივი არჯევნიშვილი (თეატრალური დასი „სოხუმი“) გახდა სპექტაკლში „ნეტავ იქ თეატრი არის?!“ (ნანა ჯანელიძის ფილმის მიხედვით) კახის როლის შესრულებისთვის.

საქართველოს სახალხო არტისტ გაიოზ (კუკური) გოგიბერიძის სახელობის სპეციალური პრიზი ბათუმის №2 საჯარო სკოლის მოსწავლე საბა ცინცაძეს გადაეცა (თეატრალური დასი „სახიობა“, სპექტაკლი „რატომ?! რისთვის?!“ ჯემალ მონიავას პიესა „ჯვარცმული ბედნიერების“ მიხედვით).

ნომინაციაში „საუკეთესო გოგონა მსახიობი“ ბათუმის №20 საჯარო სკოლის მოსწავლე მარი დუმბაძემ გაიმარჯვა (დედა ქეთოს როლის შესრულებისთვის. თეატრალური დასი „ოციანელები“, სპექტაკლი „დელ პიეროს მაისური“).

ნომინაციაში „საუკეთესო ვაჟი მსახიობი“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის №1 საჯარო სკოლის მოსწავლე თომა ნაკაშიძემ გაიმარჯვა (დიდროს როლის შესრულებისთვის. თეატრალური დასი „ტრიუმფი“, სპექტაკლი „დიდრო“, ნოდარ დუმბაძის მოთხრობის მიხედვით).

ნომინაციაში „საუკეთესო ვაჟი (მოსწავლე) - სახასიათო როლისთვის“ გამარჯვებულად ბათუმის №18 საჯარო სკოლის მოსწავლე ხვიჩა ჩხუბაძე დასახელდა (პოლიციის უფროსი - პრისტავის როლის შესრულებისთვის. თეატრალური დასი „თალია“, სპექტაკლი „ვერის უბნის მელოდიები“), ნომინაციაში „საუკეთესო გოგონა (მოსწავლე) - სახასიათო როლისთვის“ კი შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროთის საჯარო სკოლის მოსწავლე ლიზა ჭაღალიძე (ლამაზისეულის როლის შესრულებისთვის. თეატრალური დასი „გავქაჩავთ“, სპექტაკლი „კაცია-ადამიანი?!“ ილია ჭავჭავაძის მოთხრობის მიხედვით).

ნომინაციაში „საუკეთესო მხატვრობა/სცენოგრაფია“ ბათუმის სკოლა „ევრო 2000“-მა გაიმარჯვა (თეატრალური დასი „სახილველი“, სპექტაკლი „სალამურა“, არჩილ სულაკაურის ნაწარმოებ „სალამურას თავგადასავლის“ მიხედვით).

ნომინაციაში „საუკეთესო მუსიკალური გაფორმება“ გამარჯვებულად ბათუმის №18 საჯარო სკოლა დასახელდა (თეატრალური დასი „თალია“, სპექტაკლი „ვერის უბნის მელოდიები“), ნომინაციაში „საუკეთესო ქორეოგრაფია“ კი ბათუმის სკოლა „ნიკე“ (თეატრალური დასი „თალეა“, სპექტაკლი „მუზები ქმნიან შედევრებს“). ნომინაციაში „საუკეთესო დასი“ (მაღალმთიანი სტატუსის მქონე სკოლა) ქედის მუნიციპალიტეტის ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლამ გაიმარჯვა (თეატრალური დასი „რამპა“, სპექტაკლი „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“. პიესის ავტორი თამრი ფხაკაძე).

ნომინაციაში „საუკეთესო დასი“ გამარჯვებულად საფრანგეთის ქალაქ პარიზის წმინდა თამარ მეფის სახელობის ტაძართან არსებული საკვირაო სკოლა დასახელდა (თეატრალური დასი „თამარიონი“, სპექტაკლი „სამოთხე დედამიწაზე“. პიესის ავტორი თამარ ბართაია).

ნომინაციაში „საუკეთესო სპექტაკლი“ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროთის საჯარო სკოლამ გაიმარჯვა (თეატრალური დასი „გავქაჩავთ“, სპექტაკლი „კაცია-ადამიანი?!“, ილია ჭავჭავაძის მოთხრობის მიხედვით).

დაჯილდოების ცერემონიამ სრული ანშლაგით, მქუხარე აპლოდისმენტებისა და ოვაციების ფონზე ჩაიარა.

- იმ ფესტივალებიდან, რასაც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აფინანსებს (მოგეხსენებათ, წელს ფესტივალებზე მილიონი ლარი გახარჯა სამინისტრომ), ვთვლი, რომ „პირველი ავტოგრაფი“ ყველაზე საჭირო ფესტივალია. ამ ტექნიკურ, ქსელურ, სოციალურ სამყაროში წიგნი, მეტ-ნაკლებად, მივიწყებული გახდა. სწორედ ამ ფესტივალმა დააბრუნა ახალგაზრდები წიგნთან, ლიტერატურასთან, თეატრთან, კულტურასთან. ამ ფესტივალის სახით ბათუმში სასწაული ხდება და ვულოცავ ამ სასწაულს ფესტივალის დამფუძნებლებს, საკუთარ თავს და მთელ საქართველოს, - განაცხადა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძემ.

- სიმართლე გითხრათ, ასეთ შედეგს არ ველოდი. ყველა მოლოდინს გადააჭარბა. მეექვსე წელია, რაც ბათუმში ვარ, სწორედ ამ ფესტივალმა გადამაწყვეტინა აქ დარჩენა. ძალიან დახვეწილი, ჭკვიანი ბავშვები მოდიან, ყველა მღერის და ცეკვავს, უზომოდ გულთბილები არიან. მათი დამსახურებით, ფესტივალზე, ერთი კვირის განმავლობაში, 18 პრემიერა ვითამაშეთ. დამეთანხმებით, ეს არც ისე პატარა რიცხვია. ჟიურის წევრები აღფრთოვანებულები იყვნენ, სხვადასხვა ადგილზე დღეში 4 სპექტაკლი იდგმებოდა. ბედნიერი ვარ, რომ „პირველი ავტოგრაფი“ შედგა. დიდი შრომა სჭირდება ამ ყოველივეს,

იხ. მე-10 გვ.

შეჯიბრება – ორჭიდში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის ზღვისპირა პარკში პირველობა ჩატარდა ორჭიდში - ვეტერანები ერთმანეთს ჭადრაკსა და ბადმინტონში გაეჯიბრნენ

როგორც შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა შალვა ტაბაღუამ გვითხრა, ვეტერანებისთვის სპეციალურად შეარჩიეს სპორტის ეს ორი სახეობა: ერთი - მჯდომარე, მეორე - მოძრავი.

შეჯიბრებაში ვეტერანები დიდი ხალისით ჩაერთნენ.

ქალთა შორის პირველი ადგილი მედეა ბიბილეიშვილმა დაიკავა, მეორეზე სვეტლანა უტიანსკაია გავიდა, მესამეზე - ნინო აბაშიძე.

მამაკაცთა შორის პირველი ოთარ დოჭვირი იყო, მეორე - იასონ კამკია, მესამე - ვახტანგ მამინაშვილი.

განცხადებები

2024 წლის 21 დეკემბერს, 15 საათზე, ბათუმის ნიჩბოსნობის კლუბის შენობაში გაიმართება აჭარის ნიჩბოსნობის რეგიონული ფედერაციის არჩევნები.

მისამართი: ბათუმი, სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩა №2, ნურის ტბის მიმდებარე ტერიტორია.

მობილური: 599 92 94 52 - ლევან ჯიოშვილი.

აჭარის ნიჩბოსნობის
ფედერაციის ადმინისტრაცია

ნინო ხაჭაპურიძე ოჯახით თანაუგრძნობს ქეთევან გერაძეს, გიორგი და მარიკა ტუღუშებს მამისა და ბაბუის

ნოდარ გერაძის

გარდაცვალების გამო.

ურეხში იყიდება 800 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი ხეხილითა და ციტრუსით.

დაგვიკავშირდით მობილურზე: 574 01 25 62. იკითხეთ ასლანი.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»

პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3.

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31

აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში

დასაბეჭდად ხელმოწერილია 5/12/24, 17 40 სთ.

კარი უნდა გავაღოთ! - არჩევანი, რომელიც ჩვენს ხელთაა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბათუმის დრამატული თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე რეჟისორ სალომე ჯიჯავაძის სპექტაკლ „სამი ასულის“ პრემიერა გაიმართა. რეჟისორმა ქართველ კლასიკოს დრამატურგ პოლიკარპე კაკაბაძის ექსპერიმენტული პიესა - სიმბოლისტურ-ექსპრესიული დრამა საკუთარი ინტერპრეტაციით წარმოგვიდგინა, რითაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ფემიციდისა და ქალთა უფლებების მხრივ არსებულ მდგომარეობას საქართველოში, იმას, თუ რეალობაში რისი გადატანა უწევს ქალს



სპექტაკლი მოგვითხრობს ერთ სივრცეში გამოკეტილი სამი ასულის ყოფაზე, რომლებიც, მიუხედავად სურვილისა, ფართოდ გააღონ კარი, შეიგრძნონ თავისუფლება და თავი დააღწიონ „ჯაჯოს“ მონურ მორჩილებას, საკუთარ თავში ბოლომდე ვერ აღმოაჩენენ ძალას, რომელიც მათ მოჯადოებული წრიდან გასვლაში, ფსიქოლოგიური მარწუხების რღვევაში დაეხმარება.

„ღმერთო, ჩვენ გავაღებთ, გავაღებთ კარს, გავაღებთ კარს, რა უნდა დაგვაკლდეს, ჩვენ ხომ ისედაც უბედურები ვართ?!“; „ეს კარი გაიღება, ეს კარი ფართოდ გაიღება და ჩვენ ვიქნებით ბედნიერები!“; „მე სიკვდილის არ მეშინია, არც ჯაჯოსი, მაგრამ ეს ყოფა საშინელებაა“; „ჩვენ პატარა ძალასაც ვერ ვპოულობთ, მძინარეებს ვგავართ“; „სუსტი ვარ, სუსტი ვარ, დავიღალე, და-ვი-ღალეე!“; „გავაღოთ კარი, გავაღოთ კარი, იქ ბედნიერება გველოდება“ - ისმის ფრაზები სპექტაკლიდან, რომლითაც რეჟისორს სურს კიდევ ერთხელ დაგვანახოს ჩვენი როლი და მნიშვნელობა ჩვენსავე ცხოვრებაში, ის, რომ ჩარჩოების რღვევის შიშის, გაუბედაობის გამო შეიძლება დავკარგოთ ადამიანის ყველაზე ფუნდამენტური უფლება - იყოს თავისუფალი.

სპექტაკლში კარგად ჩანს, რომ კარი, რომლის გაღებასაც სამი ასული ცდილობს, ერთი ხელის გაწვდენაზეა, თუმცა მონური მორჩილება, სიახლის შიში იმდენად მძლავრადაა გამჯდარი მათში, ურჩევნიათ, იოცნებონ თავისუფლებაზე, ვიდრე იბრძოლონ მის მისაღებად.

სპექტაკლში დრამატული თეატრის ოთხი მსახიობი: ლია აბულაძე (დია), დიანა ჩახუნაშვილი (თეო), მერი ნაკაშიძე (ევა) და ზურაბ გორგილაძე (ჯაჯო) მონაწილეობს. თითოეულმა მათგანმა მაღალი მსახიობური ოსტატობით, სრული ემოციური სიზუსტით მიიტანა სათქმელი მაყურებლამდე, რომელსაც სპექტაკლის დასრულების შემდეგ, ემოციური სიმძიმიდან გამომდინარე, რამდენიმე წამი ოვაციების გამოხატვა ეუხერხულა, სამი ქალბატონის მიერ ბოლომდე ვერდამსხვრეული მარწუხები, მათსავით უჭერდა ყელში.

- დია, ჩემი პერსონაჟი, ყველაზე მეტად შეგუებულია ყოფას, რომელშიც ცხოვრობს, იმდენად, რომ ცდილობს თეოს და ევას დააჯეროს, კარზე კაკუნი, რომელიც ერთგვარად ჩვენი გამოფხიზლებისთვისაა და სპექტაკლის განმავლობაში რამდენჯერმე ისმის ქარის ხმა. ჩემი პერსონაჟი ცდილობს, ჯაჯოს ტყვეობაში მყოფი ახალმოსული ორი გოგოც იმ მდგომარეობაში იყოს, რომელსაც თვითონ იყო შეგუებული. ჯერ კიდევ როდის აქვს ეს პიესა პოლიკარპე კაკაბაძეს დაწერილი, მაგრამ, სამწუხაროდ, დღესაც აქტუალურია, ბოლომდე დღესაც ვერ გავედით მოჯადოებული წრიდან. სპექტაკლით „სამი ასული“ ახალგაზრდა და ნიჭიერმა რეჟისორმა სალომე ჯიჯავაძემ ძალიან ნათლად თქვა თავისი სათქმელი. ჩემს სუბიექტურ აზრსაც მოგახსენებთ. ჩვენი ბრალია, რომ ვეგუებით არსებულ ყოფას, ვჩუმდებით, არ ვართ ერთსულოვნები. უნდა გავარღვიოთ ეს წრე, ერთად დავდგეთ, ერთი სათქმელი უნდა გვქონდეს. ერთად დგომით, სოლიდარობით გადავლახავთ ყველა ბარიერს და გავხსნით კარს, რომელიც დახშულია, - გვითხრა მსახიობმა ლია აბულაძემ.

სპექტაკლში ყველაზე დიდი ტრანსფორმაცია დიანა ჩახუნაშვილის პერსონაჟმა - თეომ განიცადა. ის „ჯაჯოს“, როგორც ბოროტი ბატონის ყველაზე ღვთისმოშიში, უმწიკვლო მონა იყო, რომელსაც არსებული გარემოდან მიყენებული ტრავმის გამო, გონება შეერყა და თავად ჩაისახა ბოროტებაში. როგორც მსახიობმა გვითხრა, ბოროტებასაც რაღაც მიზეზი აქვს და მიაჩნია, რომ ყველა ადამიანი, სანამ ბოროტი გახდებოდა, თავად იყო მსხვერპლი.

- ყველა ადამიანს თავისი ცხოვრების კარი აქვს, მაგრამ ზოგს გასაღები არ აქვს, ზოგმა გაღება არ იცის, ზოგი არასწორად აღებს, არის შემთხვევებიც, რომ კარი ღიაა, მაგრამ ვერ გავდივართ. მუდმივად გვაქვს ადამიანებს რაღაცის შიში, რიდი, კომპლექსები. რომ გაარღვიო მოჯადოებული წრე, არ უნდა გეშინოდეს, უნდა იფიქრო საკუთარ თავზე, რადგან ერთხელ მოვედით ამ ქვეყანაზე და ეს დრო გვეკუთვნის პირადად ჩვენ. უნდა გაძლიერდე და დაუდგე პრობლემას წინ, როდესაც პირველად შეგეჩეხება, მეათედ რომ განმეორდება, ესე იგი, შენ უკვე შეეგუე მას, აღარ ცდილობ მოერიო. ქალებმაც, კაცებმაც, ზოგადად, ყველამ, ადამიანებს პატივი უნდა ვცეთ, მოვექცეთ როგორც თანაბარს, მსხვერპლად არც თავი და არც სხვა ვაქციოთ, - აღნიშნა დიანა ჩახუნაშვილმა.

მერი ნაკაშიძის პერსონაჟი - ევა ყველაზე ახალგაზრდაა სამ ასულს შორის. ის ბავშვობიდან ოცნებობდა მშვენიერ უფლისწულზე. მიუხედავად იმისა, რომ ძალადობის მსხვერპლად იქცა, მაინც სჯეროდა სიყვარულის, იმეორებდა, რომ „ბედნიერება მოვა“.

- ჩემთვის ეს ერთ-ერთი ურთულესი და, ამავდროულად, უსაყვარლესი როლია. მენტალური პრობლემების ადამიანი ითამაშო ისე, რომ გულწრფელი იყო მაყურებელთან, რომელიც შენგან ერთი მეტრის მოშორებით ზის. ჩემი, როგორც მსახიობის მისია, სწორედ ის გახლდათ, რომ მართალი ვყოფილიყავი მასთან. 23 წლის ევა მსხვერპლია იმ გარემოების, სადაც მოხვდა. მე ის იმ თვისების გამოც მიყვარს, რომ არ ნებდება, ბოლომდე იბრძვის თავისი ოცნებებისთვის, სჯერა ნამდვილი სიყვარულის. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ვიტყვი, რომ უნდა გვჯეროდეს ბედნიერების და ის კარი, რომლის გაღებაც ჩვენ, სამ ასულს გვსურდა, აუცილებლად გაიღება. ქალებო, პირველ რიგში, საკუთარ თავს მივმართავ, არასოდეს დანებდეთ, არ თქვათ უარი თქვენს სურვილებზე, იბრძოლეთ გამარჯვებისთვის! , - გვითხრა მერი ნაკაშიძემ.

ზურაბ გორგილაძე ამბობს, რომ სპექტაკლში ჯაჯოს როლის შესრულება საინტერესო გამოწვევა იყო მისთვის. ჯაჯო ბოროტი ადამიანის კრებსითი სახე და ხმაა, რომელსაც სიამოვნებს ძალაუფლება, ადამიანების დამორჩილება. სპექტაკლში ჩანს მისი შინაგანი ჭიდილი, ტრანსფორმაციის ერთგვარი მცდელობა, თუმცა შეიძლება ითქვას, ჯაჯო დარჩა ჯაჯოდ, რომელმაც არაერთი ადამიანის ცხოვრება დაანგრია.

- ის პრობლემები, რაზეც სპექტაკლში ვსაუბრობთ, შესაძლოა ყველა ოჯახში იყოს. ასეა, ხანდახან მარწუხებს გვიჭერენ, ან ჩვენ თვითონ ვიჭერთ. იცით, რაღაც დოზით, ბოროტები ჩვენ ყველა ვართ, გიჟებიც, ალბათ ისიც გვიფიქრია, მორჩილებაში გვყავდეს სხვა ადამიანები. ეს სპექტაკლი ერთგვარი გაშიშვლებაა იმ ცნობიერის თუ ქვეცნობიერის, რაც ადამიანის გონებაში ხდება. ხშირად გარემოება გვაიძულებს, ის არ გავაკეთოთ, რაც მართლა გვინდა იმიტომ, რომ დაგვსჯიან, ვერ გაგვიგებენ, რეალურად კი სულ სხვაგვარად უნდა იყოს. თითოეული ადამიანის როლი მნიშვნელოვანია, ჩვენ უნდა გავარღვიოთ ყველა ჩარჩო და გავაღოთ კარი, რომლის მიღმაც საკუთარი თავის უკეთ აღმოჩენის უდიდესი შესაძლებლობებია, - გვითხრა მსახიობმა.

გაზეთ „აჭარასთან“ რეჟისორმა სალომე ჯიჯავაძემ ისაუბრა.

- „კარი უნდა გავაღოთ“ - მთავარი სათქმელი ესაა. დაკეტილი კარის სიმბოლო ყველასთვის, ალბათ, ინდივიდუალურია, მაგრამ თვითონ მოვლენა ყველას გვაერთიანებს. ჩვენი შინაგანი შიში, ტრამვა თუ უბრალოდ რიდი არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ გავცდეთ ამ ჩვენით შექმნილ წრეს. ზუსტად ამის გამო ზოგი ჩვენგანი ეგუება და ნებდება, ზოგი კი ბოლომდე იბრძვის. სპექტაკლში ვცდილობთ, მაყურებელს დავანახოთ პრობლემა არა მხოლოდ ერთ ჭრილში, არამედ ავხსნათ და გამოვიკვლიოთ, რის გამო უწევთ ადამიანებს ბოროტების ჩადენა. ვფიქრობ, რომ ყველა მოძალადე, რაღაც კუთხით, თვითონაც ძალადობის მსხვერპლია, რაც მასში კვალს ტოვებს. როგორც ერთ-ერთი გმირი ამბობს: „ჩვენ გავაღებთ კარს, მერე თუნდაც ამ ციხის ბნელ კედლებში დაილიოს ჩვენი სიცოცხლე“, - აღნიშნა სალომე ჯიჯავაძემ.

სპექტაკლის სცენოგრაფია ეკუთვნით დავით ტაკიძეს, კომპოზიტორი ლუკა ჭეიშვილია, ქორეოგრაფი - გიორგი გოგიშვილი, რეჟისორის თანაშემწე - ნატო ღლონტი.

„პირველი ავტოგრაფი“ საზეიმოდ დაიხურა

მე-9 გვერდიდან

თუმცა ჩვენი მომავალი თაობისთვის ყველაფერს ვაკეთებდით. მადლობას ვუხდი თანადგომისთვის აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და ქალაქ ბათუმის მერიას. ეს ყველაფერი ჩემი ახლო მეგობრის მიხეილ გაბაიძის დამსახურებით მოხდა, რომელიც ძალიან კარგი მენეჯერია და ყველა საქმეს სასწაულებრივად ართმევს თავს, მადლობა მას. ჩვენი შემოქმედებითი გუნდი რიცხობრივად დიდი არაა, მხოლოდ ოჯახის წევრები ვართ, დღე და ღამ ფუტკრებივით ვშრომობდით და მგონი გამოგვივიდა, - გვითხრა ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელმა პეტრე ჩარგეიშვილმა.

- ამ ფესტივალის მიზანი იყო, რომ ბავშვებს შემოქმედებით პროცესში შეყვარებოდათ თეატრი, დამეგობრებულიყვნენ ქართულ ლიტერატურასთან, ერთმანეთთან და მგონი, ეს შევძელით. „საუკეთესო სპექტაკლის“ პრიზი დამსახურებულად გადაეცა შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროთის საჯარო სკოლას. ამ ბავშვებმა ძალიან დიდი შრომა ჩადეს სპექტაკლში, უზომოდ ვისიამოვნე სანახაობით და მინდა აღვნიშნო, რომ ყველა მსახიობი გამორჩეული იყო. ვფიქრობ, ძალიან კარგი არჩევანი გააკეთა ჟიურიმ. ფესტივალზე ბევრი რამ გვინდოდა, სხვაგვარად ყოფილიყო, მაგრამ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო, მუსიკაზე, ბანერებზე და ასე შემდეგ. უარი ვთქვით. ძალიან მარტივად და სადად, დიდი ზეიმის გარეშე ჩავატარეთ ფესტივალი, მოხარული ვარ, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, - გვითხრა ფესტივალის დირექტორმა მიხეილ გაბაიძემ.

- ფესტივალისთვის თითქმის 1 წელი ვემზადებოდით. მოგეხსენებათ, მაღალმთიან რაიონში დიდი თოვლი მოდის, ხანდახან შუქიც არ არის, თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, ძალებს არ ვიშურებდით და მთელი წელი ვრეპეტიციობდით. წყაროთის საჯარო სკოლაში სულ 33 მოსწავლე სწავლობს, აქედან 8 სპექტაკლში იყო დაკავებული. მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ჟიურის წევრებს, რომ დაგვიფასეს შრომა. დღეს ჩვენ ვართ მთავარი პრიზის - „საუკეთესო სპექტაკლის“ მფლობელები. „საუკეთესო გოგონა - სახასიათო როლისთვის“ ჯილდოც ჩვენი დასის წევრმა ლიზამ აიღო, რაც ძალიან გვახარებს. ეს ფესტივალი არის სიყვარული, ბედნიერება და ურთიერთობა, - გვითხრა შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროთის საჯარო სკოლის თეატრალური დასის ხელმძღვანელმა მირზა სათმანიძემ.

- როცა სპექტაკლზე მუშაობა დავიწყეთ, ბატონმა მირზამ ლამაზისეულის როლი შემომთავაზა, მითხრა, შენით შექმენი ეს პერსონაჟიო. თავიდან ცოტათი გამიჭირდა, ვერ ვახერხებდი როლის მორგებას, თუმცა თანდათან შევედი როლში და ყველაფერი დავძლიე. გულის სიღრმეში ველოდი ამ პრიზს, მჯეროდა, რომ შრომა დაგვიფასდებოდა. როცა სცენიდან ჩემი სახელი და გვარი გავიგონე, სიხარულისგან გული ამიჩქარდა. ძალიან კარგი ფესტივალია, ყველა სკოლის თეატრალურ დასს ვურჩევ, მიიღოს მასში მონაწილეობა, - გვითხრა სოფელ წყაროთის საჯარო სკოლის მოსწავლე ლიზა ჭაღალიძემ.